ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის ანალიზი

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2025

სარჩევი

წინასიტყვაობა **3**

შესავალი **4**

1. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო **6**

1.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საკანონმდებლო ბაზა 6

1.2 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვა 7

1.3 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სტრუქტურა და დონის ღმწერები 8

1.4 კვალიფიკაციის ტიპები და მათი განაწილება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეებზე 16

1.5 კვალიფიკაციის ჩართვა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში და ეროვნული კვალიფიკაციების რეესტრი 18

1.6 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგი 19

2. კვალიფიკაციების სისტემა ზოგად განათლებაში **21**

2.1 ზოგადი განათლების საკანონმდებლო ჩარჩო 21

2.2 ტიპური კვალიფიკაციები ზოგად განათლებაში 23

2.3 კვალიფიკაციების ფორმირება ზოგად განათლებაში 24

2.4 კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები ზოგად განათლებაში, მიმნიჭებელი ინსტიტუციები და კვალიფიკაციის მინიჭების პირობები 25

2.5 შეფასების სისტემა ზოგად განათლებაში 27

2.6 კავშირი განათლების სხვა ქვესისტემებთან და ჩარჩოს დონეებთან 29

2.7 კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა ზოგად განათლებაში 30

2.8 იდენტიფიცირებული გამოწვევები 34

3. კვალიფიკაციების სისტემა პროფესიულ განათლებაში **35**

3.1 პროფესიული განათლების საკანონმდებლო ჩარჩო 35

3.2 ტიპური კვალიფიკაციები პროფესიულ განათლებაში 39

3.3 კვალიფიკაციების ფორმირება პროფესიულ განათლებაში 40

3.4 კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები პროფესიულ განათლებაში, მიმნიჭებელი ინსტიტუციები და კვალიფიკაციის მინიჭების პირობები 44

3.5 კრედიტების სისტემა პროფესიულ განათლებაში 47

3.6 კავშირი განათლების სხვა ქვესისტემებთან და ჩარჩოს დონეებთან 49

3.7 კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ ანათლებაში 50

3.8 იდენტიფიცირებული გამოწვევები....53

4. კვალიფიკაციები უმაღლეს განათლებაში 56

4.1 უმაღლესი განათლების საკანონმდებლო ჩარჩო 56

4.2 ტიპური კვალიფიკაციები უმაღლეს განათლებაში....62

4.3 კვალიფიკაციების ფორმირება უმაღლეს განათლებაში და უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები....62

4.4 კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები უმაღლეს განათლებაში, მიმნიჭებელი ინსტიტუციები და კვალიფიკაციის მინიჭების პირობები 69

4.5 სწავლის შედეგების შეფასება და კრედიტების სისტემა უმაღლეს განათლებაში....71

4.6 უმაღლეს განათლებაში ტრანზიციის გზები და სფეციფიკური კვალიფიკაციები 72

არანაკლებ 60 კრედიტის მოცულობის სამაგისტრო პროგრამა და EMBA პროგრამა – პირს ანიჭებს მაგისტრის ხარისხს, მაგრამ არ ანიჭებს სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას....74

4.7 კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლეს განათლებაში 75

4.8 აკადემიური კეთილსინდისიერება და კვლევის ეთიკა....80

4.9 იდენტიფიცირებული გამოწვევები....81

5. მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა 83

5.1 ფორმალური განათლების აღიარება....86

5.2 არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვა უმაღლეს განათლებაში 89

5.3 არაფორმალური განათლების აღიარება....92

5.4 მოკლევადიანი მომზადების/მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები....96

5.5 იდენტიფიცირებული გამოწვევები....97

6. ინტერნაციონალიზაცია 98

6.1 ბოლონიის პროცესი 98

6.2 წევრობა და პარტნიორობა საერთაშორისო ორგანიზაციებში 101

7. ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან რეფერენსირებისათვის გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან და პროცედურებთან შესაბამისობა 105

8. დასკვნები და რეკომენდაციები....117

წინასიტყვაობა

წინამდებარე ანგარიში აღწერს საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების სისტემას, ასევე ასახავს განათლების ცალკეული ქვესისტემის შიგნით კვალიფიკაციების ფორმირება- განვითარების თავისებურებებს. ანგარიში მიზნად ისახავს, წარმოადგინოს სისტემის საბაზისო ანალიზი, დაადგინოს მისი შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირებისთვის გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან და გამოკვეთოს ის პრობლემური საკითხები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ რეაგირებას. ანგარიშის 2021 წელს შემუშავებული ვერსია განახლდა 2025 წელს, პროექტის - „საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება (GEOREF)" ფარგლებში. განახლებული დოკუმენტი შეთანხმებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით შექმნილ მრჩეველთა საბჭოს წევრებთან.

ავტორები:

ქეთევან ფანჩულიძე
ნათია ვაჭარაძე
ნინო გოგლიჩიძე
სოფო გაფრინდაშვილი
ხატია ბერიძე
ქეთევან ინანაშვილი
ნანი დალაქიშვილი
ნინო ცხოვრებაძე
თამარ რუხაძე
ხატია ცირამუა

შესავალი

საქართველოში პირველი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო[1] დამტკიცდა 2010 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში-მინისტრი) 19 ივნისის 120/ნ ბრძანებით. აღნიშნულმა დოკუმენტმა, დონეების სტრუქტურისა და აღმწერებიდან გამომდინარე, დიდი ზეგავლენა იქონია საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებზე. ჩარჩო ეფუძნებოდა 3 ქვეჩარჩოს (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება).

2013 წლიდან დაიწყო მოქმედი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ანალიზის პროცესი, რომლის ფარგლებშიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ორგანიზებით განხორციელდა სამუშაო შეხვედრები განათლების თითოეული საფეხურის (ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი) მიმართულების ექსპერტებთან და სპეციალისტებთან. განხორციელებული სამუშაოების შედეგად მომზადდა მოქმედი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ანალიზის დოკუმენტი, რომელშიც აისახა სისტემაში არსებული ხარვეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯები.

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. შეთანხმების საფუძველზე ქვეყანამ აიღო ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან დაახლოების ვალდებულება. აღნიშნულის შესრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად კი განისაზღვრა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს დასანერგად ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულება.

2017 წელს ცენტრისა და „ევროპის განათლების ფონდის“ (ETF) თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის განახლებული პროექტების განხილვა და მათი დანერგვის მიზნით შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში მომზადდა - განსახორციელებელ სამუშაოთა ორწლიანი (2017-2019) გეგმა; განხორციელდა საქართველოს საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაზისო ანალიზი და კვალიფიკაციების აღწერა; შემუშავდა კონცეფციის დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იყო პოლიტიკური და მეთოდოლოგიური შემოთავაზებები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის ძირითად ასპექტებზე.

[1] ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ; 2010 წლის 10 დეკემბერი (ძალადაკარგული) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1131547?publication=46

განხორციელებული აქტივობების საფუძველზე, 2019 წელს მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (შემდგომში - ჩარჩო) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი (შემდგომში - კლასიფიკატორი).

შემუშავებულმა დოკუმენტებმა უზრუნველყო განათლების ქვესისტემების (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) თანმიმდევრობა და გააუმჯობესა მათი ურთიერთკავშირის ხარისხი. განახლებულმა ჩარჩომ გაითვალისწინა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნები და სახელმძღვანელო პრინციპები. დოკუმენტმა გააერთიანა საქართველოში არსებული ყველა კვალიფიკაცია, ასახა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგები და ჩამოაყალიბა, თუ რა ცოდნა, უნარი, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად. კლასიფიკატორის საშუალებით კი განხორციელდა საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირება და განისაზღვრა სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაცია, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებზე („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) დაყრდნობით.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების შემდგომი ეტაპია მისი რეფერენსირება მთელი სიცოცხლის განმავლობაში ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან - EQF LLL და თვითსერტიფიცირება უმაღლესი განათლების სივრცის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან- EHEA QF. მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ანალიზის დოკუმენტი მნიშვნელოვან როლს შეიტანს რეფერენსირებისათვის წინამოსამზადებელი სამუშაოების განსაზღვრისა და დაგეგმვის პროცესში.

საგულისხმოა, რომ 2024 წელს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მოიპოვა ERASMUS+-ის პროგრამის დაფინანსება საპროექტო განაცხადზე - „საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესების საშუალებით (GEOREF)“. პროექტი ამავე წლის 4 ნოემბერს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის N1573 განკარგულებით.

GEOREF პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ჰარმონიზაცია ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.

პროექტის წარმატებული განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

პროექტის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების და თვითსერტიფიცირების მიზნით, 2026 წლის სექტემბრისთვის, მომზადდება თვითშეფასების დოკუმენტი ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების აქტიური ჩართულობით და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

1. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

1.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ აწესრიგებს ჩარჩოსთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს. კერძოდ, აღნიშნული კანონი ჩარჩოს განმარტავს, როგორც ინსტრუმენტს, რომელიც ახდენს კვალიფიკაციების კლასიფიცირებას სწავლის შედეგების მიხედვით განათლების სხვადასხვა ქვესისტემის ფარგლებში, ხელს უწყობს განათლების ქვესისტემების ინტეგრირებასა და კოორდინირებას, ასევე, კვალიფიკაციების ხარისხის გაუმჯობესების, გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობისა და განვითარების ზრდას, რისთვისაც ითვალისწინებს შრომის ბაზრისა და საზოგადოების ინტერესებს[2].

კანონი ასევე ადგენს ჩარჩოს დონეების რაოდენობასა და მის მიზნებს, განსაზღვრავს ჩარჩოს და კლასიფიკატორის მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე აქტებს.

მოქმედი ჩარჩო და კლასიფიკატორი დამტკიცებულია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ ბრძანებით 2019 წელს. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განათლების ქვესისტემების მარეგულირებელი კანონები („ზოგადი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“) შესაბამისობაშია ჩარჩოს დონეების სტრუქტურასა და კონცეფციასთან.

ჩარჩოსა და კლასიფიკატორის ნაწილში პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად უწყებას წარმოადგენს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელიც ამტკიცებს ჩარჩოსთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს

[2] საქართველოს კანონი “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, მუხლი 2[1].

(მინისტრის ბრძანებების სახით). აღნიშნული აქტებით ჩარჩოსა[3] და კლასიფიკატორის[4] მართვასთან, განვითარებასთან და მონიტორინგთან დაკავშირებული აქტივობები დელეგირებულია ცენტრზე. კერძოდ, მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება ჩარჩოს მართვისა და განვითარების საკითხები, ჩარჩოს სტრუქტურა და შინაარსში ცვლილების შეტანის წესი, ჩარჩოში კვალიფიკაციების ჩართვის მექანიზმები, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესი და ჩარჩოს მონიტორინგის პირობები. ხოლო კლასიფიკატორის მართვისა და განვითარების საკითხები რეგულირდება ცენტრის დირექტორის ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს კლასიფიკატორის სტრუქტურისა და შინაარსის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ადგენს კლასიფიკატორში ცვლილებების განხორციელების საფუძვლებს, მისი მონიტორინგის მექანიზმებსა და პერიოდულობას. ცენტრი ასევე პასუხისმგებელია ჩარჩოს კოორდინაციასა და დანერგვაზე, განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფასა და კვალიფიკაციების აღიარებაზე.

1.2 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვა

მინისტრის ბრძანებების შესაბამისად[5], ცენტრი არის მთავარი მმართველობითი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ჩარჩოსა და კლასიფიკატორის მართვაზე, განვითარებასა და მონიტორინგზე.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით[6] შექმნილი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით შექმნილი მრჩეველთა საბჭო (შემდგომში - მრჩეველთა საბჭო) ასევე წარმოადგენს მმართველობით რგოლს, რომლის ძირითადი ფუნქციებია ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვასა და განვითარებასთან დაკავშირებული ცენტრის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების, ასევე, წლიური სამოქმედო გეგმების აქტივობების განსაზღვრასთან დაკავშირებით

3 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N103/ნ ბრძანება.

4 „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის N666/ი (ცვლილება 21/09/21 N954601) ბრძანება.

5 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N103/ნ ბრძანება

6 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის“ დამტკიცების შესახებ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 25 თებერვლის N163567 ბრძანება (ცვლილება 2024 წლის 27 ნოემბერი N1529086)

რეკომენდაციების შემუშავება; სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის განხილვა; მეთოდური სახელმძღვანელო დოკუმენტების განხილვა; მონიტორინგის გეგმის ანგარიშის განხილვა; კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის ფუნქციონირების ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და ჩარჩოსა და კლასიფიკატორის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

მრჩეველთა საბჭო წარმომადგენლობითი ორგანოა და დაკომპლექტებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. კერძოდ, მასში შედიან სისტემურ დონეზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წარმომადგენლები (შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლები), ცენტრის მიერ წარდგენილი პირები, სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელი, პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენელი და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი. საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 6 წლის ვადით. მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

1.3 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სტრუქტურა და დონის ღმწერები

ჩარჩო შედგება 8 დონისგან, რომელთა შორის პირველი შეესაბამება ყველაზე დაბალ დონეს, ხოლო მერვე - ყველაზე მაღალს. დოკუმენტი აერთიანებს განათლების სამ ქვესისტემაში (ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება) არსებულ ყველა კვალიფიკაციას. ამასთან, ითვალისწინებს ფორმალური განათლების სისტემის მიღმა არსებული კვალიფიკაციების აღიარების შესაძლებლობას და ხაზს უსვამს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მნიშვნელობას.

გამოსახულება 1.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო



ჩარჩო ითვალისწინებს კვალიფიკაციების ფორმირებას განზოგადებულ სწავლის შედეგებზე დაყრდნობით და ამ მიზნით განსაზღვრავს სამი კატეგორიის აღმწერს, რომლებიც ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს კატეგორიების იდენტურია. ეს აღმწერებია:

- ცოდნა და გაცნობიერება;
- უნარი;
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

ცოდნა და გაცნობიერება არის სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი.

უნარი გულისხმობს კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას და აღიწერება შემეცნებითი და პრაქტიკული უნარებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა გულისხმობს ცოდნისა და უნარების პასუხისმგებლობითა და დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობას.

აღნიშნული აღმწერების სირთულე და კომპლექსურობა იზრდება დონეების ზრდასთან ერთად (იხ. ცხრილი N1: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეები და აღმწერები).

ცხრილი N1: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეები და აღმწერები

კვალიფიკაციის დონე	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
დონე 1	საბაზო ზოგადი ცოდნა, რაც ქმნის საფუძველს სოციალური განვითარებისთვის, შემდგომი სწავლისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მარტივი დავალების შესრულებისათვის. საბაზო პრინციპებისა და ფაქტების იდენტიფიცირება და ინტერპრეტირება.	ნაცნობ გარემოში მარტივი და ერთგვაროვანი დავალებების შესასრულებლად საბაზო უნარების გამოყენება. ამ პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა და სტანდარტული წესებით გადაჭრის უნარი. საკუთარი საქმიანობის შედეგების შესახებ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.	სტრუქტურირებულ, უცვლელ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ სწავლა ან/და მარტივი დავალების შესრულება.
დონე 2	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს საბაზო ცოდნა და მისი გააზრება.	სწავლისა ან/და საქმიანობის სფეროში, შესაბამისი საბაზო შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება; ნაცნობი პრობლემების გადასაჭრელად სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენება; ფაქტების, პროცესების, მასალების შესახებ საბაზო ინფორმაციის მოძიება, შერჩევა, გაანალიზება, გამოყენება. საკუთარი საქმიანობის შედეგების შესახებ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, არგუმენტირებული მსჯელობა კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.	სტრუქტურირებულ, უცვლელ გარემოში სწავლა ან/და რუტინული დავალების შესრულება ხელმძღვანელობით და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით. საკუთარი საქმიანობის შეფასება. საკუთარ საქმიანობასა და სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.

დონე 3	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესების, მეთოდებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და გააზრება.	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება დავალებების შესასრულებლად; გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრა სათანადო წყაროების მოძიებით, ამოცნობით, ანალიზით, ასევე სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევითა და გამოყენებით. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სწავლასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სათანადო ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.	პროგნოზირებად, ნაწილობრივ ცვალებად გარემოში საქმიანობასთან დაკავშირებული დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება და საქმიანობა პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით. პრობლემის გადასაჭრელად, გარემოების გათვალისწინებით, საკუთარი ქცევის ადაპტირება. საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასება, ხელმძღვანელობითა და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით სწავლა.
დონე 4	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ფართო ცოდნა და მისი გააზრება	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი კოგნიტური და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება. არაერთგვაროვანი პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრისათვის ინფორმაციის მოძიება, შერჩევა, კრიტიკულად გააზრება, სათანადო მიდგომის იდენტიფიცირება და შესაბამისობის შეფასება. სწავლის ან/და საქმიანობის შესახებ კომუნიკაცია სტრუქტურირებული და თანმიმდევრული არგუმენტების მეშვეობით, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით	პროგნოზირებად, მაგრამ ცვალებად გარემოში საკუთარი საქმიანობის ან სწავლის მართვა სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით. ერთგვაროვანი სამუშაო პროცესის ზედამხედველობა; სამუშაო და სასწავლო აქტივობების შეფასებასა და გაუმჯობესებაზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღება. დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასება და სწავლა.

დონე 5	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს მრავალმხრივი, სპეციალიზებებული, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) და მისი შესაძლებლობების (საზღვრების) გააზრება	მკაფიოდ განსაზღვრული აბსტრაქტული და კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად, ასევე კომპლექსური დავალების შესასრულებლად სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, მათ შორის, სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი და შეფასება. იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.	სწრაფად ცვალებად (არაპროგნოზირებად) გარემოში საქმიანობის პროცეს(ებ)ის ზედამხედველობა და მართვა პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით; სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი და სხვების საქმიანობის შეფასება და გაუმჯობესებაზე ზრუნვა; საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა და სწავლის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.

დონე 6	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს.	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებული პრობლემების გადაჭრისათვის. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად. სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.	კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება. საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება

დონე 7	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.	უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.	კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.

დონე 8	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში. სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება.	აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული (საერთშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც დამოუკიდებლად იღებენ კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას (კვლევასა ან/და ინოვაციაში). არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარი როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოებისათვის. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი.	აკადემიურ ან/და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების ან/და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტირირებით.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ასევე შემუშავებულია სწავლის შედეგების ჩარჩოს დონეებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მეთოდოლოგიური დოკუმენტები, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (ჩარჩოს მე-2-მე-5 დონეებისთვის), ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (ჩარჩოს მე-6 - მე-8 დონეებისთვის). 2025 წელს, ERASMUS+ -ისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტის „საქართველოს კვალიფიკაციები ეროვნული ჩარჩოს განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესის საშუალებით“ ფარგლებში იგეგმება აღნიშნული დოკუმენტების რევიზია და განახლება.

ჩარჩოს დონეების აღმწერებთან სწავლის შედეგების განსაზღვრის მეთოდოლოგიის განახლების პროცესმა გამოკვეთა რიგი ხარვეზები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს ჩარჩოში. კერძოდ, რიგ შემთხვევებში გვხვდება:

- დონეების მიხედვით აღმწერებს შორის ურთიერთგადაფარვის პრობლემა;
- დონეების მიხედვით აღმწერებს შორის პროგრესიის დანახვის სირთულე;
- დონეების მიხედვით აღმწერებს შორის პროგრესიისა და რეგრესიის მონაცვლეობა;
- ე.წ. ქვედონეების (60-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები) სპეციფიკის გათვალისწინების სირთულე.

1.4 კვალიფიკაციის ტიპები და მათი განაწილება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეებზე

კვალიფიკაციების ტიპები, მათი განაწილება ჩარჩოს დონეებზე და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები განსაზღვრულია მინისტრის შესაბამისი ბრძანებით[7] (იხ. ცხრილი N2: ფორმალური განათლების კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები).

7 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანება

ცხრილი N2. ფორმალური განათლების კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები

კვალიფიკაციის დონე	განათლების ქვესისტემებში არსებული კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები	პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დასრულების შედეგად გასაცემი კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები
დონე 1	• ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი	
დონე 2	• ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი • ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი	• პროფესიული მომზადების მეორე დონის სერტიფიკატი • პროფესიული გადამზადების მეორე დონის სერტიფიკატი
დონე 3	• საბაზო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი • ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი	• პროფესიული მომზადების მესამე დონის სერტიფიკატი • პროფესიული გადამზადების მესამე დონის სერტიფიკატი
დონე 4	• სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი • საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი	• პროფესიული მომზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი • პროფესიული გადამზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი

	• ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი	
დონე 5	• ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი • უმაღლესი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი	• პროფესიული მომზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი • პროფესიული გადამზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი
დონე 6	• ბაკალავრის დამადასტურებელი დიპლომი • მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი • სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი	
დონე 7	• მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი • დიპლომირებული მედიკოსის დამადასტურებელი დიპლომი • დიპლომირებული სტომატოლოგის დამადასტურებელი დიპლომი • განათლების მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი • ვეტერინარიის მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი • ვეტერინარის მომზადების სერტიფიკატი	
დონე 8	• დოქტორის დამადასტურებელი დიპლომი	

1.5 კვალიფიკაციის ჩართვა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში და ეროვნული კვალიფიკაციების რეესტრი

მოქმედი კანონმდებლობის[8] შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების და ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კვალიფიკაციების ჩარჩოში ჩართვა ხორციელდება მხოლოდ ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესის გავლის შემთხვევაში.[9]

ამ ეტაპზე საქართველოში არ მოქმედებს უნიფიცირებული ბაზა - ეროვნული კვალიფიკაციების რეესტრი, რომელიც გააერთიანებს განათლების სამივე ქვესისტემის ფარგლებში გაცემულ კვალიფიკაციებსა და მათ მახასიათებლებს.

პროფესიული განათლების კვალიფიკაციების შესახებ ინფორმაცია, პროფესიულ სტანდარტებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან ერთად ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.vet.ge აღნიშნული რეესტრი საჯაროა და შესაძლებლობას იძლევა, ინფორმაცია მოიძიონ როგორც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების, ისე ამ სტანდარტებზე დაფუძნებული პროგრამების ჭრილში. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების რეესტრი მოცემულ ეტაპზე საჯარო არ არის, თუმცა კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შემუშავების შემდგომ იგეგმება საქართველოში არსებული ყველა ფორმალური კვალიფიკაციის ერთ სივრცეში თავმოყრა და მათი გასაჯაროება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველო აცნობიერებს კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის (შემდგომში-რეესტრი) მნიშვნელობას, რისთვისაც საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა მისი შექმნის ვალდებულება და ადმინისტრირების წესი. პროცესის შინაარსობრივი და ტექნიკური გამართვა დელეგირებულია ცენტრზე და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე. ამასთან, 2020 წელს დაძმობილების პროექტის (Twinning) ფარგლებში მომზადდა რეესტრის ტექნიკური მახასიათებლების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დაეფუძნა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ 2017 წლის 22 მაისის ევროსაბჭოს რეკომენდაციას. 2023 წელს, ევროკავშირის პროექტის "ტექნიკური მხარდაჭერა

[8] „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N103/ნ ბრძანება.

[9] დეტალურად იხ. ქვეთავები „2.7.კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა ზოგად განათლებაში";„3.7.კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში";„4.7.კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლეს განათლებაში".

საქართველოში შრომის ბაზრის შესაბამისი უნარების განვითარებისთვის" დახმარებითა და დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით შემუშავდა „საქართველოს კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის განახლებული კონცეფცია, რომელიც დეტალურად აღწერს ელექტრონული სისტემის მახასიათებლებს, საჭირო ინფორმაციასა და პროცესებს. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შემუშავდა პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნების სპეციფიკაციების დოკუმენტი. საგულისხმოა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით[10] სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას ევალებათ ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება 2025 წლის 31 დეკემბრამდე ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შესაქმნელად.

რეესტრი ხელმისაწვდომი იქნება ეროვნული კვალიფიკაციების სისტემით დაინტერესებული მხარეებისათვის (სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, აბიტურიენტები, მასწავლებლები, დამსაქმებელები, კურსდამთავრებულები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, და სხვ). მისი მონაცემთა სტრუქტურა იქნება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისი.

ამ ეტაპზე ცენტრისა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შემუშავებაზე. ელექტრონული რეესტრის პლატფორმის შექმნის სავარაუდო ვადებია 2024 წლის სექტემბერი - 2025 დეკემბერი.

1.6 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N103 ბრძანებით ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის თანახმად, ეროვნული კვალიფიკაციების

[10] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის 103/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის თანახმად,

ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგი ხორციელდება 5 წელიწადში ერთხელ. მონიტორინგის მიზანია ჩარჩოსა და კლასიფიკატორის ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის აღწერა, არსებული ხარვეზების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

ჩარჩოსა და კლასიფიკატორის მონიტორინგი განხორციელდა 2024 წელს და პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით შეიქმნა ორი სამუშაო ჯგუფი:

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი.

აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფებმა მონიტორინგის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის შეიმუშავეს მონიტორინგის გეგმა, რომელიც გულისხმობდა ყველა დაინტერესებული მხარის ფართო ჩართულობასა და მათთვის მონიტორინგის არეალის გათვალისწინებით შესაბამისი წინადადებების წარმოდგენის შესაძლებლობის მიცემას. შემოსული რეკომენდაციები განიხილა შესაბამისი მონიტორინგის ჯგუფმა, რომელთა განხილვის შემდეგ შემუშავდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროებს კლასიფიკატორის მონიტორინგის ანგარიში.

მონიტორინგის ანგარიშის შემუშავების შემდგომ, დოკუმენტი საჯარო განხილვისთვის განთავსდა ცენტრის ვებ-გვერდზე, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებულ მხარეებს კიდევ ერთხელ ჰქონდათ შესაძლებლობა, ანგარიშთან მიმართებით წარმოედგინათ რეკომენდაციები. აღნიშნული პროცესის შემდგომ დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართა საერთო სამუშაო შეხვედრა. სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგის ანგარიშზე დაყრდნობით, სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადდა რეკომენდაციების პაკეტი. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგის ანგარიში და რეკომენდაციების პაკეტი შეთანხმებულია მრჩეველთა საბჭოსთან და ცენტრის მართვისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კოლეგიურ ორგანოსთან - ცენტრის საკოორდინაციო საბჭოსთან, ასევე ცენტრის დირექტორთან.

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, მონიტორინგის ჯგუფებმა კიდევ ერთხელ გააანალიზეს დოკუმენტი და შეიმუშავეს რეკომენდაციების პაკეტი[11], რომელიც წარმოდგენილია შემდგომი რეაგირებისთვის.

2025 წელს დაგეგმილია აქტივობები ჩარჩოსა და კლასიფიკატორის მონიტორინგის ფარგლებში გამოკვეთილი რეკომენდაციების შესაბამის უფლებამოსილ დარგობრივი უნარების ორგანიზაციებთან (დუო) და უმაღლესი განათლების დარგობრივ საბჭოებთან

[11] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგის ანგარიში (https://shorturl.at/wBWL0)

განხილვისა და ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ მინისტრის ბრძანებაში[12] შესაბამისი ცვლილებების ინიცირების მიზნით.

2. კვალიფიკაციების სისტემა ზოგად განათლებაში



2.1 ზოგადი განათლების საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოში ზოგადი განათლება რეგულირდება საქართველოს კანონებით: ,,ზოგადი განათლების შესახებ", ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი მიღებული იქნა 2005 წელს. ის აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის,

[12] „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართვლოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანება

რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, ავტორიზაციისა წესს, აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, ამჟამად საქართველოში ზოგად განათლებას აქვს შემდეგი სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი); –2025 წლის 1 ივლისიდან სრულ ზოგად განათლების საფეხურებს ექნება შემდეგი ხანგრძლივობა.

- დაწყებითი საფეხური - ხანგრძლივობა 6 წელი;
- საბაზო საფეხური - ხანგრძლივობა 4 წელი;
- საშუალო საფეხური - ხანგრძლივობა 2 წელი.

ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე სწავლების სრული ხანგრძლივობაა 12 წელი. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველოში დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა. შესაბამისად, დაუშვებელია მოსწავლის დატოვება ზოგადი განათლების სისტემის მიღმა საბაზო საფეხურის დაძლევამდე. ამასთან, კვალიფიკაციის მიენიჭება მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევის შემთხვევაში.

ზოგადი განათლება სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. კანონი ადგენს ზოგადი განათლების მიღების მოქნილ შესაძლებლობებს. ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევა შესაძლებელია როგორც დასწრებული სწავლების ფორმით, ისე - ექსტერნატის გზით ან/და სხვა ალტერნატიულ ფორმებით მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შრომითი ოჯახური პირობების გათვალისწინებით.

კანონი ადგენს ზოგად განათლებაში კვალიფიკაციების ფორმირების მნიშვნელოვან პრინციპებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს. კერძოდ, კანონის მიხედვით, ზოგადი განათლების სწავლის შედეგების ფორმირება ეფუძნება საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრულ „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა“[13] და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას[14] (დეტალურად იხ. ქვეთავი „კვალიფიკაციების ფორმირება ზოგად განათლებაში“).

2019 წლიდან სისტემაში გაჩნდა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირების შესაძლებლობა. აღნიშნულმა დაშვებამ მოსწავლეებს (და არა მხოლოდ მათ) მისცა ერთი

[13] „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 12 ივნისის N4261-XIVმს-Xმპ დადგენილება https://matsne.gov.ge/document/view/6193624?publication=0

[14] „ ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანება https://matsne.gov.ge/ka/document/view/3285991?publication=38

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საფეხურის დასრულებისა და პარალელურად პროფესიის შეძენის შესაძლებლობა.

მეორე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც აწესრიგებს ზოგადი განათლების სისტემას, არის საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“[15]. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საკითხებს და ზოგადი სახით ქმნის ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივ საფუძვლებს.

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი, სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს მთავრობა. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამინისტროს დაქვემდებარებული სხვა უწყებების/სტრუქტურების კოორდინაციით, უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფს ზოგადი განათლების სფეროში საკითხების სრულყოფას და განვითარებას.

2.2 ტიპური კვალიფიკაციები ზოგად განათლებაში

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ და მინისტრის შესაბამისი ბრძანება[19] ზოგადი განათლების ქვესისტემაში განსაზღვრავს შემდგომ ტიპურ კვალიფიკაციებს:

კვალიფიკაციის დონე ჩარჩოს მიხედვით	ზოგადი განათლების ქვესისტემაში არსებული კვალიფიკაციები
დონე 2	საბაზო ზოგადი განათლება
დონე 4	სრული ზოგადი განათლება

[15] საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=30

2.3 კვალიფიკაციების ფორმირება ზოგად განათლებაში

ზოგად განათლებაში კვალიფიკაციების ფორმირება მიმდინარეობს ცენტრალიზებულად და ეფუძნება ორ მნიშვნელოვან საკანონმდებლო დოკუმენტს: საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“ და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას. ამასთან, ეროვნული სასწავლო გეგმა ეყრდნობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ. იგი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა და, შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის წარმოადგენს სავალდებულო დოკუმენტს. ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებათა აღწერას.

პირველი ეროვნული სასწავლო გეგმა 2005 წელს შემუშავდა, ხოლო მისი პილოტირება-დანერგვის პროცესები 2006 წლიდან დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს ცოცხალ, ორგანულ ინსტრუმენტს, რომელსაც აქვს განვითარების თავისი ციკლი და დინამიკა. შესაბამისად, 2005 წლიდან დღემდე აღნიშნული დოკუმენტი სამჯერ განახლდა და დღეს სისტემაში მოქმედებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა დანერგვის 2018- 2024 წლების სტრატეგიით[16] (იხ. სქემა N1: „ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ციკლი“).

სქემა N1: ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ციკლი



[16] III მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა https://mes.gov.ge/content.php?id=12552&lang=geo

ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს საგნობრივ სტანდარტებსა და წლიურ პროგრამებს. საგნობრივი სტანდარტი განსაზღვრავს ცოდნის სავალდებულო მინიმუმს, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე საფეხურის ბოლოს. ეროვნული სასწავლი გეგმა პასუხობს შეკითხვებს: რა უნდა იცოდეს მოსწავლემ? რა უნდა შეძლოს მან? რა ღირებულებებით უნდა აღიზარდოს იგი კონკრეტული საგნის ფარგლებში? წლიური პროგრამა გვიჩვენებს სასწავლო პროცესში საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების რეალიზების გზებს. სტანდარტისგან განსხვავებით, წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა.

ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც აზუსტებს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა შედეგების მიღწევის საშუალებებს, რაც შემდგომში წარმოადგენს პირისთვის კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს.

საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების განხორციელება სავალდებულოა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, თუმცა კანონით ასევე დაშვებულია, სკოლამ საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების განხორციელება მის მიერ შედგენილი საგნობრივი პროგრამის მიხედვით განახორციელოს. ასეთ შემთხვევაში, მის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს შესაბამის საგნობრივ სტანდარტთან. დასაშვებია ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული საგნობრივი პროგრამების შემუშავება როგორც ყველა, ასევე რომელიმე კონკრეტულ საგანში/საგნებში. საჯარო სკოლა (კერძო სკოლისგან განსხვავებით) ვალდებულია, საგნობრივი პროგრამა შესათანხმებლად წარადგინოს სამინისტროში და თავად უზრუნველყოს მოსწავლეები შესაბამისი დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებით, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

საბაზო და სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგები თავსებადი უნდა იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2.4 კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები ზოგად განათლებაში, მიმნიჭებელი ინსტიტუციები და კვალიფიკაციის მინიჭების პირობები

ზოგადი განათლების ფარგლებში გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები:

- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - ატესტატი;
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - ატესტატი.

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებულია:

- საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საშუალო პროფესიული განათლების დიპლომი, იმ შემთხვევაში, თუ საშუალო პროფესიულ პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

მინისტრის შესაბამისი ბრძანებით[17] დამტკიცებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ფორმები, კერძოდ:

- საბაზო ზოგადი განათლების ატესტატის ფორმა;
- სრული ზოგადი განათლების ატესტატის ფორმა.

შესაბამისად, ზოგად განათლებაში მიღებული კვალიფიკაცია განიხილება, როგორც უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი.

რაც შეეხება კვალიფიკაციის მინიჭების წესსა და პირობებს, საბაზო საფეხურის კვალიფიკაცია პირს მიენიჭება საფეხურის დაძლევის შედეგად. ანალოგიური წესი ვრცელდება საშუალო საფეხურის შემთხვევაშიც. შესაძლებელია, ასევე სკოლამ დანიშნოს წლიური გამოცდაც (სასწავლო წლის დამამთავრებელი) საბაზო და საშუალო საფეხურებზე, რაც მან უნდა ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნულ გადაწყვეტილებას სკოლა იღებს თავად საკითხის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

არსებობს კვალიფიკაციის მინიჭების ალტერნატიული გზაც, რომელიც მოიაზრებს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურზე განათლების მიღებას. იგი ითვალისწინებს პირის მიერ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/ სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დამოუკიდებლად დაძლევას. ექსტერნზე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების საშუალო საფეხურისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევის შემთხვევაში.

თუ პირი ექსტერნატის ფორმით წარმატებით დაძლევს რამდენიმე კლასის სასწავლო პროგრამას, რომელიც მოიცავს საბაზო საფეხურის დამამთავრებელ კლასს, მასზე გაიცემა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი. ექსტერნზე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა

[17] ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო დოკუმენტების და სერთიფიკატების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 2 ივნისის N269 ბრძანება https://matsne.gov.ge/ka/document/view/60586?publication=13

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების საშუალო საფეხურისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევის შემთხვევაში. აღნიშნული საკითხი რეგულირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.[18]

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ზოგად განათლებაში კვალიფიკაციის მინიჭება არ ეფუძნება გარე შეფასებას. ზოგადი განათლების კვალიფიკაციის მიმნიჭებელ ინსტიტუციად განსაზღვრულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების გაცემას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო[19].

2.5 შეფასების სისტემა ზოგად განათლებაში

ზოგადი განათლების სისტემაში შეფასება განიხილება, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილი, რომლის მიზანია მოსწავლის სწავლის პროცესის გაუმჯობესება და მხარდაჭერა.

შეფასების ფოკუსი, მისი მიზნობრიობიდან გამომდინარე, სხვადასხვა დონეზე შესაძლოა, განსხვავდებოდეს, თუმცა ის აუცილებლად უნდა:

ა) გვაძლევდეს დიაგნოსტირებისა და მასზე დაფუძნებული უკუკავშირის მიღების საშუალებას, პასუხობდეს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: რა იცის მოსწავლემ? რა არის მისი სამიზნე ცოდნა? რა საჭიროებების წინაშე დგას? როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი? რა ტიპის მხარდაჭერას საჭიროებს? და ა.შ.

ბ) გვაძლევდეს წინსვლის შეფასების შესაძლებლობას და პასუხს კითხვებზე: როგორ ვითარდება მოსწავლე? როგორია მისი ცოდნის დონე? რა ცვლილებები განიცადა მოსწავლის სწავლის პროცესმა კონკრეტულ პერიოდში? სწავლა-სწავლების რა მეთოდები და მიდგომები არის ეფექტიანი მისი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რა ტიპის ცვლილებები და აქცენტებია საჭირო სასწავლო პროცესში, რომ დავეხმაროთ მოსწავლეს წინსვლაში და ა.შ.

გ) დაეხმაროს განათლების მესვეურებს, აწარმოონ განათლების პოლიტიკა, რაც გულისხმობს სტანდარტებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტების

[18] „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N18/ნ ბრძანება https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1209895?publication=21

[19] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 8 ივნისის №113/ნ ბრძანება https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1671071?publication=13

გადამუშავებას, სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერისა და განვითარების მექანიზმების შემუშავებას და სხვ.

ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში (შემდგომში - სკოლა) გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

- განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა. სკოლებს თავად შეუძლიათ შექმნან განმსაზღვრელი შეფასების ორიგინალური სისტემა და პრინციპები, რომელთა მიხედვითაც სასკოლო სისტემაში დაწერილი ნიშნები კონვერტირდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ 10-ბალიან სისტემაში.
- განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. განმავითარებელი შეფასებისთვის ძირითადად გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: დაკვირვება, სიტყვიერი და/ან წერილობითი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვ. შეფასების ეს ფორმა ხორციელდება მთელი სწავლის პროცესის განმავლობაში.

ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება პირველი კლასიდან 12 კლასის ჩათვლით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება შემოდის მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და გრძელდება 12 კლასის ჩათვლით. განმსაზღვრელი შეფასებისას მიღებული ქულა წარმოადგენს მოსწავლის ერთი კლასიდან მეორე კლასში გადაყვანის საფუძველს, თუ სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით სხვა რამ არაა დადგენილი (მაგ: დამატებითი გამოცდების ჩაბარება და ა.შ.).

ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფუნქციონირებს 10-ქულიანი შეფასება. თითოეულ ქულას ენიჭება შემდეგი მნიშვნელობა:

- 9-10 ქულა - მაღალი შეფასება;
- 7-8 ქულა - საშუალოზე მაღალი შეფასება;
- 5-6 ქულა - საშუალო შეფასება;
- 1-4 ქულა - დაბალი შეფასება.

მოსწავლეს კლასი დაძლეულად ეთვლება, თუ კონკრეტულ საგანს დაძლევს, სულ მცირე, 5.0-ქულიანი შეფასებით, სხვა შემთხვევაში მას ენიშნება საშემოდგომო გამოცდა.

2.6 კავშირი განათლების სხვა ქვესისტემებთან და ჩარჩოს დონეებთან

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ პირს უფლება აქვს, სწავლა გააგრძელოს:

- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე;
- საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
- პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებზე.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დასრულების საფუძველზე პირს უფლება აქვს, სწავლა გააგრძელოს:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (ყველა დონეზე);
- პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე;
- მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საბაკალავრო პროგრამაზე;
- ინტეგრირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მოიცავს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სწავლის შედეგებს).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე იმ პირს, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე ან „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებული პირი და რომელსაც სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს ერთ-ერთი შემდეგი ტესტი: ა) ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი; ბ) ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი; გ) ოსური ენის ტესტი; დ) აფხაზური ენის ტესტი.

სქემა N2-ზე მოცემულია საბაზო და სრული ზოგადი განათლების საფუძველზე განათლების სისტემაში ტრანზიციის გზები.

სქემა N2: ზოგადი განათლების ბმა განათლების სხვა ქვესისტემებთან და ჩარჩოს დონეებთან



2.7 კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა ზოგად განათლებაში

საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ"[20] განსაზღვრავს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგ მექანიზმებს:

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები.

შიდა მექანიზმებს განსაზღვრავენ და იყენებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად. ზოგადად, ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების

[20] საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ"
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=31

ხარისხის შიდა მექანიზმები უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურობას. მათი მიზანია მუდმივად განახლებადი და ადაპტირებული სისტემის შექმნა, რომელიც აკმაყოფილებს განათლების სფეროს მოთხოვნებს. შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს: დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე-განავითარე.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ცენტრი, რომელიც კოორდინაციას უწევს ქვეყანაში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და პროცედურებს.

ავტორიზაცია არის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომლის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება და მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ამდენად, იმისათვის, რომ დაწესებულებამ მოიპოვოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და გახდეს კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ინსტიტუცია, მან უნდა დააკმაყოფილოს ოთხივე სტანდარტით (სკოლის ფილოსოფია, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა, მოსწავლეთა მხარდაჭერა) დადგენილი მოთხოვნები.[21]

ავტორიზაცია ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულებას ენიჭება 9 წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ სისტემურ დონეზე მუდმივად კონტროლდება დაწესებულებების მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხი, რისთვისაც დაწესებულება ავტორიზაციიდან ავტორიზაციამდე პერიოდში გადის გარე შემოწმებას - მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ხარისხის შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას. ხარისხის გარე უზრუნველყოფა ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების განაცხადით/თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს. საბოლოო გადაწყვეტილებას დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების/მინიჭებაზე უარის თქმის/ან გაუქმების შესახებ იღებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მინისტრის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი და მისი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლის ვადით.

კერძო სკოლების ავტორიზაცია საქართველოში პირველად 2011 წელს დაიწყო. ეს პროცესი გულისხმობდა სკოლის ფუნქციონირების შესაბამისობას განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტებთან, რაც ხელს უწყობდა ხარისხის უზრუნველყოფას. ავტორიზაცია ნიშნავს, რომ სკოლა აკმაყოფილებს კანონისა და

[21] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები https://shorturl.at/zlgnu

განათლების პოლიტიკის მოთხოვნებს და სთავაზობს განათლებას, რომელიც შეესაბამება მინიმალურ საგანმანათლებლო სტანდარტებს. 2025 წლის მარტის თვის მდგომარეობით ავტორიზირებულია 206 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

2023 წლიდან დაიწყო საჯარო სკოლების ეტაპობრივი ავტორიზაცია. საჯარო სკოლები 2030-2031 სასწავლო წლის დაწყებამდე, კანონის მიხედვით, უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის საჯარო სკოლები, რომლებიც დაფუძნებულია 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადიან ავტორიზაციას და ერთვებიან ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. 2025 წლის მარტის თვის მდგომარეობით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ავტორიზებულია 465 საჯარო სკოლა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმს, ასევე, წარმოადგენს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) საქართველოში აღიარება.

აღსანიშნავია, რომ პროგრამების აღიარებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა აღნიშნული პროგრამების საფუძვლიანი შესწავლა, შეფასება და საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მხოლოდ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან თავსებადი, მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების დაშვება. პროგრამას ცენტრი აფასებს იმ კრიტერიუმებითა და სტანდარტებით, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და ხელშეკრულებას აფორმებს უცხო ქვეყნის იმ უფლებამოსილ ინსტიტუტთან, რომელიც ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას.

დღესდღეობით საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულია საზღვარგარეთ აღიარებული 5 ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლებსაც ახორციელებენ ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

1. IB (International Baccalaureate)
2. QSI (Quality School International)
3. Cambridge Assessment International Education
4. Sabis Educational Holding
5. Cognia

საქართველოში სკოლების აკრედიტაცია ოფიციალურად 2005 წელს დაიწყო. სწორედ ამ დროს შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმისა და აკრედიტაციის სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელი იყო ქვეყნის ზოგადი განათლების დონის გაუმჯობესებასა და სკოლის აკრედიტაციის პროცესის მართვაზე. 2022 წლიდან გაუქმდა ზოგადსაგანმანათლებლო

პროგრამების აკრედიტაცია, როგორც ქმედითი მექანიზმი. იგი ნაწილობრივი ინტეგრირდა კურიკულუმის სტანდარტში. დღეისათვის, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში მხოლოდ 3 ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაა აკრედიტებული.

2023 წლიდან შეიცვალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაც. ექსპერტთა კორპუსს დაემატა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის სათანადოდ შესწავლა/შეფასება.

2022 წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში მოქმედებს სკოლის შეფასების 4 სტანდარტი:

1. სკოლის ფილოსოფია;

2. სასკოლო კურიკულუმი;

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა;

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა.

თითოეული სტანდარტი ჩაშლილია კომპონენტებად, რომლებიც ეფუძნება შესრულების შესაბამის ინდიკატორებსა და მტკიცებულებებს. განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები სტანდარტების შეფასების დიფერენცირებული სისტემის შემოღების მიმართულებით. ეს ნიშნავს იმას, რომ ორდონიანი შეფასების მოდელი ჩაანაცვლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების ოთხდონიანმა სკალამ. აღნიშნული იძლევა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სრულფასოვნად და ერთგვაროვნად შეფასების საშუალებას.

სტანდარტებთან დაწესებულების შეფასების ოთხდონიან სისტემას აქვს შემდეგი სახე:

1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;

2. მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;

3. ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;

4. არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

სქემა N3. სტატისტიკა - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რაოდენობა



2025 წლის მარტის თვის მონაცემებით ავტორიზებულია 465 საჯარო და 206 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

2.8 იდენტიფიცირებული გამოწვევები

ზოგადი განათლების კვალიფიკაციების სისტემასთან დაკავშირებით იდენტიფცირებულია შემდეგი გამოწვევები:

- საჯარო სკოლების ეტაპობრივი ავტორიზაცია;
- საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში აღიარებასთან დაკავშირებული პროცესების განვითარება;
- საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების ინტეგრაცია და დანერგვა;
- საქართველოში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ახალ მოდელზე გადასვლა, 6-წლიანი დაწყებითი, 4-წლიანი საბაზო და 2-წლიანი საშუალო განათლების ფორმატით, რომელიც საშუალო განათლების საფეხურზე პროფესიული და აკადემიური ხაზით იქნება წარმოდგენილი..

3. კვალიფიკაციების სისტემა პროფესიულ განათლებაში



3.1 პროფესიული განათლების საკანონმდებლო ჩარჩო

პროფესიული განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა მნიშვნელოვნად შეიცვალა 2018 წელს, როდესაც მიიღეს ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“[22]. კანონმა გახსნა უამრავი ახალი შესაძლებლობა პროფესიული განათლების, მათ შორის, პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის განვითარებისათვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გადაჭრა „საგანმანათლებლო ჩიხის“ პრობლემა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ გამოწვევად სახელდებოდა საქართველოში მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის განხორციელების კონტექსტში. კერძოდ, ძველი კანონმდებლობით, პირი, რომელიც საბაზო განათლების ბაზაზე აგრძელებდა სწავლას პროფესიული განათლების მიმართულებით, მოკლებული იყო შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში, სწავლა გაეგრძელებინა აკადემიურ პროგრამებზე, რადგან უმაღლესი განათლების საფეხურზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული იყო სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ვერ უზრუნველყოფდნენ დარგობრივ კომპეტენციებთან ერთად სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგების გამომუშავებას პროფესიული სტუდენტებისათვის.

[22] საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=11

ახალმა კანონმა კი დაუშვა მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში სრული ზოგადი განათლების შესაბამისი სწავლის შედეგების ინტეგრირება, რამაც დაინტერესებულ პირებს საბაზო განათლების საფეხურიდან, პროფესიული პროგრამების გავლით, გზა გაუხსნა აკადემიური განათლებისკენ.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მოქმედ კანონს აქვს ჩარჩო-დოკუმენტის ფორმა და განსაზღვრავს ყველა იმ ძირითად კანონქვემდებარე აქტს, რომელთა გამოყენებითაც უნდა მართონ პროფესიული განათლება.

ახალი კანონის საფუძველზე:

- შეიცვალა პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა. პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამები განთავსდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე, მეოთხე და მეხუთე დონეებზე;
- სისტემაში შემოვიდა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადებისპროგრამები, რომლებიც განთავსდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე დონეებზე;
- პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირების საფუძვლად განისაზღვრა პროფესიის სტანდარტი და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი; კვალიფიკაციის ფორმირება დაეფუძნა სწავლის შედეგების სისტემას;
- გაჩნდა ახალი კვალიფიკაცია - ასოცირებული ხარისხი - აღნიშნული კვალიფიკაცია პირს ენიჭება მოკლე ციკლის პროგრამის დასრულების შემდგომ. ეს არის კვალიფიკაცია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს პროფესიულ და უმაღლეს განათლებას და ქმნის შესაძლებლობას, მოკლე ციკლის პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტები აღიარებული იქნას უმაღლესი განათლების შესაბამისი პროგრამის ფარგლებში;
- განისაზღვრა დაშვების წინაპირობები (წინარე განათლების მინიმალური დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - მესამე დონის პროგრამებისთვის დაშვების წინაპირობად მოთხოვნილია საბაზო განათლება, მეოთხე დონის პროგრამებისთვის - საბაზო ან სრული ზოგადი განათლება, ხოლო მეხუთე დონის პროგრამებისა და მოკლე ციკლის პროგრამებისათვის - სრული ზოგადი განათლება;
- დაინერგა ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები - მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გაჩნდა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესაძლებლობა. აღნიშნულის საფუძველზე, პირს საბაზო განათლების ბაზაზე შეუძლია, სწავლა გააგრძელოს მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც პროფესიულ უნარებთან ერთად მიიღებს სრული ზოგადი განათლების შესაბამის კომპეტენციებს და სწავლის წარმატებით დასრულების

შემთხვევაში აიღებს პროფესიულ დიპლომს, რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან - ატესტატთან;

- განისაზღვრა პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემა - ECVET;
- შეიცვალა და განახლდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- განისაზღვრა ფორმალური და არაფორმალური განათლების, მათ შორის, რეგულირებად პროფესიებში არაფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობები;
- განისაზღვრა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების სახეები (დიპლომი, დიპლომის დანართი, სერტიფიკატი, სერტიფიკატის დანართი, ცნობა).

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა, კანონი ასევე ადგენს პროფესიული განათლების სისტემის მართვის პრინციპებს, აწესრიგებს კოლეჯების/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის თემებს, განსაზღვრავს კოლეჯის მართვის პრინციპებსა და მის ვალდებულებებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საკითხებს, არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებელთან, პროფესიულ სტუდენტსა და მსმენელთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვ.

მეორე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც აწესრიგებს პროფესიული განათლების სისტემას, არის საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“. აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საკითხებს და ზოგადი სახით ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სამართლებრივ საფუძვლებს.

პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს მთავრობა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამინისტროს დაქვემდებარებული სხვა უწყებების/სტრუქტურების კოორდინაციით უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფს პროფესიული განათლების სფეროში საკითხების სრულყოფასა და განვითარებას. 2021 წელს კერძო-საჯარო პარტნიორობის ფორმატში შეიქმნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, რომელიც არის პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ძირითადი ინსტიტუცია.

საგულისხმოა, რომ დაძლეულია ამავე დოკუმენტის 2021 წლის რედაქციაში იდენტიფიცირებული საკანონმდებლო სფეროს შემდეგი გამოწვევები, მათ შორის:

- პროფესიის სტანდარტის/პროფესიის სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცების წესი - დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 5 ივნისის №205 დადგენილებით;
- პროფესიული საგანმანათლებლოსტანდარტისა და მოდულის/ მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესი - დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 23 აგვისტოს №80/ნ ბრძანებით.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობები - დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილებით.[23]

  - პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.
  - საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ზოგად წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი(შემუშავების პროცესშია).
  - გარდამავალი დებულებების მე-4 პუნქტის შესაბამისად, საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა გავრცელდა 2024 წლის მიღების ფარგლებში დუალური სწავლების სახით განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, ასევე იმ პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, რომლებიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანთლებლო სტანდარტს, რომელიც საკვალიფიკაციო გამოცდას განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭების ერთ-ერთ წინაპირობად, გარდა ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სისტემისთვის გამოწვევად რჩება საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ ნაწილობრივი დანერგვა. კანონით დათქმულ ვადებში ვერ მიიღეს კანონით განსაზღვრული ყველა კანონქვემდებარე აქტი, რაც

[23] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს დადგენილება N416 https://shorturl.at/yn0AN

აფერხებს რიგი საკითხების განვითარებას. ეროვნული კვალიფიკაციების სისტემასთან ბმაში პრობლემურია შემდეგი კანონქვემდებარე აქტების მიუღებლობა:

- მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები - მტკიცდება სამინისტროს მიერ;
- რეგულირებადი პროფესიის ფარგლებში არაფორმალური განათლების აღიარების წესსა და პირობებს - მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ.

3.2 ტიპური კვალიფიკაციები პროფესიულ განათლებაში

საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ და მინისტრის შესაბამისი ბრძანება[24] პროფესიული განათლების ქვესისტემაში განსაზღვრავს შემდგომ ტიპურ კვალიფიკაციებს:

კვალიფიკაციის დონე ჩარჩოს მიხედვით	პროფესიული განათლების ქვესისტემაში არსებული კვალიფიკაციები
დონე 2	პროფესიული მომზადების პროგრამა/პროფესიული გადამზადების პროგრამა
დონე 3	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია; პროფესიული მომზადების პროგრამა/პროფესიული გადამზადების პროგრამა
დონე 4	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია; პროფესიული მომზადების პროგრამა/პროფესიული გადამზადების პროგრამა
დონე 5	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია; ასოცირებული ხარისხი; პროფესიული მომზადების პროგრამა/პროფესიული გადამზადების პროგრამა

[24] „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანება

3.3 კვალიფიკაციების ფორმირება პროფესიულ განათლებაში

პროფესიულ განათლებაში კვალიფიკაციის ფორმირება ეფუძნება სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგები განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტით), რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება პროფესიის სტანდარტს (პროფესიულ სტანდარტს).[25] 2015 წელს ჩამოყალიბდა პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტისა და მოდულის შემუშავების წესი (მოქმედი ვერსია 04/08/16 N733/ი)[26], რომლის თანახმადაც, პროფესიული სტანდარტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო -დოკუმენტის (შემდგომში-ჩარჩო დოკუმენტის) ან მოდულის შემუშავების/ცვლილების ინიცირება შეეძლო ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც გამოხატავდა მზაობას და წარადგენდა შრომის ბაზრის ანალიზს (თვისებრივი ან/და რაოდენობრივი კვლევები), ასევე დასაბუთების დოკუმენტებს შესაბამის დარგში/პროფესიაში იდენტიფიცირებული მოთხოვნების შესახებ. წესი ასევე განსაზღვრავდა, ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავებაში ჩართული პირებისადმი მოთხოვნებსაც. პირებს, რომლებიც მუშაობდნენ პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის /მოდულის პროექტზე, უნდა ჰქონოდათ შესაბამის სფეროში საქმიანობის, ფორმალური ან არაფორმალური სწავლების გამოცდილება ან უნდა ყოფილიყვნენ შესაბამის პროფესიაში არსებული ასოციაციის ან/და სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენლები.

დღეის მდგომარეობით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და მოდულის/მოდულებისა და პროფესიის სტანდარტის/პროფესიის სტანდარტების შემუშავების, განვითარების, დამტკიცების, გადახედვისა და მისი გაუქმების პროცესს უზრუნველყოფს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო. პროფესიული განათლების სისტემაში მოქმედი კვალიფიკაციები ეტაპობრივად საჭიროებს გადახედვას, გაუმჯობესებასა და გარკვეულ სექტორებში ახალი კვალიფიკაციების გაჩენას, რაც ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის საჭიროებებთან მაქსიმალურად დაახლოებას და ემსახურება ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარებას. კვალიფიკაციების განვითარების პროცესში, განსაკუთრებით

[25] „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონი განსაზღვრავს შემდეგ დეფინიციებს: „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი“ და „პროფესიის სტანდარტი“, თუმცა სისტემაში ამ დრომდე არ არის შექმნილი აღნიშნული დასახელების დოკუმენტები. ამიტომ წარმოდგენილ ანალიზში გამოყენებული იქნება ძველი კანონმდებლობით დადგენილი ტერმინები.

[26] სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N733/ი 04.08.2016 „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“(ბოლო ცვლილება 24/06/21 N627389). აღნიშნული წესი ძალაშია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შესაბამისი მარეგულირებელი აქტების დამტკიცებამდე,

მნიშვნელოვანია კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა, რათა ერთობლივი ძალისხმევითა და თანამშრომლობით შეძლონ მოთხოვნადი უნარების იდენტიფიცირება, პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს და უზრუნველყოფს სამუშაო ძალის აღჭურვას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარებითა და კომპეტენციებით.

კვალიფიკაციების განვითარების პროცესში, პროფესიული უნარების სააგენტო უზრუნველყოფს პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების მეთოდოლოგიურ მხარდაჭერასა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან სტანდარტების ვალიდაციას. სააგენტო, ასევე, წარმართავს სტანდარტების დამტკიცების პროცესს.

პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავებასა და განვითარებას არეგულირებს შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტები:

- საქართველოს მთავრობის დადგენილება N205 - „პროფესიის სტანდარტის/პროფესიის სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცების წესი“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N80/ნ ბრძანება - "პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესი";
- ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება N1037032 - „პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტები აწესრიგებს პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება - განვითარების ეტაპებსა და პროცედურებს.

აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგია ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკას, ადგილობრივ გამოცდილებასა და საჭიროებებს, იძლევა დამსაქმებელთა სისტემური ჩართვის შესაძლებლობას კვალიფიკაციების შემუშავებისა და განვითარების პროცესში, რაც ქმნის მყარ საფუძველს შრომის ბაზრისათვის საჭირო პროგრამების შექმნისა და კვალიფიკაციების განვითარების პროცესის ერთიანი სისტემური მიდგომით წარმართვისათვის.

პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის მეთოდოლოგიური მხარდაჭერის სპეციალისტი და დარგის ექსპერტი. სამუშაო ჯგუფის საქმიანობა მოიცავს:

- პროფესიის სტანდარტის პირველადი ჩანაწერების ფორმირებას - პროფესიული მოვალეობების, პროფესიული ამოცანების, პროფესიული ცოდნის, პროფესიისთვის

მნიშვნელოვანი ზოგადი უნარების, დამოკიდებულებების, შესაძლებლობების, სამუშაო კონტექსტისა და ღირებულებების იდენტიფიცირებას;

- პროფესიის სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულების შემუშავებას - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განისაზღვრება კვალიფიკაციის დონე, კვალიფიკაციის აღწერა, დასაქმების შესაძლებლობები, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალურ აღწერა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, მოდულები, რეკომენდებული მატერიალური რესურსი და სხვ.
- საერთაშორისო გამოცდილების ანალიზს კონკრეტული კვალიფიკაციის ჭრილში;
- სტანდარტების ჩანაწერების სტანდარტიზაციას - სტანდარტების ჩანაწერების თანაბარი სიღრმისა და დეტალიზაციის უზრუნველყოფას;
- სტანდარტების ჩანაწერების ვალიდაციას - სტანდარტების პროექტზე დაინტერესებული მხარეების (მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, ცალკეული დამსაქმებლების, საჯარო დაწესებულებების დასხვა) მიღებული უკუკავშირის ანალიზს.

პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის პირველადი ჩანაწერების მცირე ჯგუფში შეთანხმების მიზნით იქმნება დარგობრივი ფოკუს ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის დარგის არანაკლებ 5 წარმომადგენელი. ჩანაწერების შეთანხმების მიზნით, დარგობრივ ფოკუს ჯგუფთან უნდა შედგეს, სულ მცირე, ერთი სამუშაო შეხვედრა, ამასთან, შეხვედრების რაოდენობა დამოკიდებულია სტანდარტების შინაარსსა და მოცულობაზე. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების არანაკლებ სამი წარმომადგენლის (მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი) ჩართულობა დარგობრივ ფოკუს ჯგუფებში. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად სტანდარტები გადის ფართო ვალიდაციას ყველა დაინტერესებულ მხარესთან. შემუშავებულ პროექტებს (პროფესიის სტანდარტი, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი/მოდულები) არეგისტრირებს პროფესიული უნარების სააგენტო. ამასთან, თუ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ძალაში შესვლა იწვევს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში ცვლილების საჭიროებას (იმ შემთხვევაში თუ სტანდარტი განსაზღვრავს ახალ კვალიფიკაციას), პროფესიული უნარების სააგენტო ვალდებულია, რეესტრში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა წერილობითი ფორმით აცნობოს აღნიშნულის შესახებ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

სქემა N5: პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირების ეტაპები და პროცედურები

პროფესიის სტანდარტის შემუშავების ეტაპები:

1. დარგობრივი რუკის ანალიზი
2. პროფესიული მოვალეობების, ამოცანებისა და ცოდნის აღწერა
3. ზოგადი უნარების, დამოკიდებულებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება
4. სამუშაო კონტექსტის და სამუშაო ღირებულებების იდენტიფიცირება
5. პროფესიის სტანდარტის ტექნიკური ველების შევსება
6. პროფესიის სტანდარტის ჩანაწერების სტანდარტიზაცია
7. პროფესიის სტანდარტის ვალიდაცია
8. პროფესიის სტანდარტის პროექტის რეგისტრაცია

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდრტის შემუშავების ეტაპები:

1. სწავლის შედეგების მატრიცის მომზადება
2. მოდულების შემუშავება
3. მატერიალური რესურსისა და სასწავლო გარემოს განსაზღვრა
4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ძირითადი ნაწილის შემუშავება
5. სტანდარტიზაცია და ვალიდაცია
6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტის რეგისტრაცია

იურიდიული პირის მიერ შემუშავებული მოკლევადიანი პროგრამის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობასა და დასკვნის მომზადებას ახორციელებენ დარგის ექსპერტები და საბჭოს აპარატის თანამშრომლები. საბოლოო გადაწყვეტილება კი მიიღება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის

განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს მიერ, რომლის წევრებს, სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საბჭოს საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს ცენტრი.

არსებობს მოკლევადიანი პროგრამების უფლების მოსაპოვებლად უფრო მარტივი გზაც. კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალებას აძლევს, პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვონ ელექტრონულ სისტემაში პროგრამის რეგისტრაციის გზით იმ შემთხვევაში, თუ ეს პროგრამა შექმნილია ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ცენტრი (დარგის ექსპერტის ჩართვის გარეშე) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი მოკლევადიანი პროგრამის შეფასებას შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) ცენტრის მიერ მოკლევადიანი პროგრამის შესაბამისობის დადგენა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესთან“;
ბ) ცენტრის მიერ მოკლევადიანი პროგრამის შესაბამისობის დადგენა იმ ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროგრამა.

მოკლევადიანი პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეებთან დგინდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.[27]

3.4 კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები პროფესიულ განათლებაში, მიმნიჭებელი ინსტიტუციები და კვალიფიკაციის მინიჭების პირობები

პროფესიული განათლების ფარგლებში გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

[27] „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის N971850 ბრძანება

- საბაზო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი - მე-3 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემთხვევაში;
- საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი - მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემთხვევაში;
- უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომი - მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემთხვევაში;
- ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი - მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემთხვევაში;
- პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატი - მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 დონის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემთხვევაში.

სქემა N8 კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეები პროფესიულ განათლებაში



ამასთან, მინისტრის შესაბამისი ბრძანებით[28] დამტკიცებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების და მისი დანართის ფორმები. კერძოდ:

[28] ,,პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 მაისის №99/ნ ბრძანება

- პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის ფორმა;
- პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმა (ქართულ-ინგლისურენოვანი);
- პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის ფორმა;
- პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის დანართის ფორმა (ქართულ-ინგლისურენოვანი);
- პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატის ფორმა;
- პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატის დანართის ფორმა (ქართულ-ინგლისურენოვანი).

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის დიპლომისა და მისი დანართის ფორმები შეესაბამება EUROPASS-ის მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება აქვს როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას/კოლეჯს, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ამასთან:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, განახორციელოს მხოლოდ მე-3 და მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოკლევადიანი პროგრამები;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი უფლებამოსილია, განახორციელოს ყველა დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოკლევადიანი პროგრამა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, განახორციელოს ყველა დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოკლევადიანი პროგრამა;
- იურიდიული პირი უფლებამოსილია, განახორციელოს ყველა დონის მოკლევადიანი პროგრამა.

პროფესიული განათლების ფარგლებში კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პრეროგატივას. კვალიფიკაციის მინიჭების ზოგადი პირობები გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში და დაკონკრეტებულია საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის პროგრამაში. არსებობს კვალიფიკაციის მინიჭების სამი ძირითადი ალტერნატივა:

ა) კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

გ) იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი სწავლობს ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, კვალიფიკაციის მინიჭებისათვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება უნდა განხორციელდეს მინისტრის მიერ დადგენილი წესით.[29]

პროფესიული კვალიფიკაციების მიმნიჭებელი ინსტიტუციები

- დიპლომისა და ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილია ის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც/რომლის სტრუქტურულმა ერთეულმა/ფილიალმა მიანიჭა პროფესიული კვალიფიკაცია ან მისი უფლებამონაცვლე ან ცენტრი.
- სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების უფლების მქონე ის იურიდიული პირი, რომელშიც მსმენელმა დაასრულა მოკლევადიანი პროგრამა, ან მისი უფლებამონაცვლე.

3.5 კრედიტების სისტემა პროფესიულ განათლებაში

საქართველოში პროფესიული განათლების სფეროში მოქმედებს ECVET კრედიტების სისტემა, რაც რეგულირდება მინისტრის ბრძანებით „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანება გამოიცა 2020 წლის 28 დეკემბერს (N120/ნ). მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ბრძანების

[29] „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის N48/ნ ბრძანება.

შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის რეკომენდაცია „პროფესიული განათლებისა და ტრეინინგისათვის (ECVET) კრედიტების ევროპული სისტემის ჩამოყალიბების შესახებ“ (2009/C 155/02). ასევე, აღნიშნული ბრძანების დანერგვის მიზნით, მომზადდა და ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების (ECVET) მინიჭების მეთოდოლოგია.[30] მინისტრის ბრძანების საფუძველზე დადგინდა:

- პროფესიული კვალიფიკაციის ფარგლებში კრედიტების განსაზღვრის პრინციპები;
- ფორმალური განათლების ფარგლებში სრული სასწავლო დატვირთვის პირობებში მიღწევადი სწავლის შედეგების მოცულობა;
- პირისთვის კრედიტების მინიჭებისა და გადატანის (ტრანსფერის) წესი.

„პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემა“ კიდევ ერთხელ გამოკვეთს, რომ კვალიფიკაციის ფორმირება ეფუძნება სწავლის შედეგებს. ამასთან, კრედიტები განაწილდება სამ - კვალიფიკაციის, მოდულისა და სწავლის შედეგის დონეზე. სწავლის შედეგისთვის კრედიტი განისაზღვრება სწავლის შედეგის მნიშვნელოვნების, სწავლის შედეგის სირთულის, მასშტაბურობისა და კომპლექსურობის და პირის მიერ სწავლის შედეგის მისაღწევად გასაწევი ძალისხმევის გათვალისწინებით. ერთი ECVET კრედიტი შეიძლება, უდრიდეს 25-30- (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) საათიან დატვირთვას. პირს კრედიტი ენიჭება სწავლის შედეგის დადასტურების საფუძველზე, რაც შეიძლება, განხორციელდეს სწავლის შედეგის შეფასებით ან სწავლის შედეგის აღიარებით.

დღეისათვის, „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის“ გათვალისწინებით შექმნილია მხოლოდ ორი მოდული. პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების პროცესში ყველა პროფესიული კვალიფიკაცია ეტაპობრივად ამ სისტემაზე გადაეწყობა.

რაც შეეხება შეფასების სისტემას, პროფესიული განათლებაში მოქმედებს კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა, რომელიც არ არის დიფერენცირებული და ორი ტიპისაა:

- სწავლის შედეგი დადასტურდა;
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

[30] „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების (ECVET) მინიჭების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N154301 24/02/21

ამასთან, სწავლის შედეგი დასტურდება იმ შემთხვევაში, თუ შესაფასებელი პირი აჩვენებს, რომ ფლობს სწავლის შედეგით გათვალისწინებულ ცოდნა/უნარებს.

3.6 კავშირი განათლების სხვა ქვესისტემებთან და ჩარჩოს დონეებთან

პროფესიული განათლება ქმნის სწავლის გაგრძელების მრავალფეროვან შესაძლებლობებს. თუმცა საშუალო და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომს კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე დაშვების წინაპირობად, იმდენად, რამდენადაც, საბაზო ზოგადი განათლების პროგრამის კურსდამთავრებული იმ შემთხვევაში დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, თუკი მასში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და აღნიშნული პროგრამის გავლის შედეგად გაცემული დოკუმენტი გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან. ხვა შემთხვევაში საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვებისთვის პირი უნდა ფლობდეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს (ატესტატი). და ამ მოსაზრებით იქნება დაშვებული უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე

უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლების შესახებ კანონების თანახმად, მოკლე ციკლის პროგრამის კურსდამთავრებული პირდაპირ უკავშირდება ბაკალავრიატის ან ინტეგრირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას[31]. ამ მიმართულებით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, პირს შესაძლებლობა ეძლევა, აღიაროს პროფესიული განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები და მცირე დროში მოიპოვოს უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაცია. თუმცა საგულისხმოა, რომ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების არარსებობის გამო, ქვეყანაში ამ დრომდე არ გვაქვს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პრაქტიკა. (იხ. სქემა N9: პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის გზები).

სქემა N9: პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის გზები

[31] ამ ეტაპზე აღნიშნული შესაძლებლობა მხოლოდ კანონის დონეზე არსებობს, პრაქტიკაში არ მოქმედებს, რადგან შესაბამისი მარეგულირებელი საკნანომდებლო ბაზა ჯერ არ არის შექმნილი.



3.7 კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ ანათლებაში

საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“[32] განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგ მექანიზმებს:

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმია ავტორიზაცია, რაც გულისხმობს დაწესებულების ინსტიტუციურ შეფასებას და მისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებას. ავტორიზაცია სავალდებულოა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ამასთანავე, მხოლოდ ავტორიზებულ დაწესებულებას აქვს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტის - დიპლომის გაცემის უფლება. ავტორიზაცია დაწესებულებას ენიჭება 6 წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ სისტემურ დონეზე მუდმივად კონტროლდება დაწესებულებების მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხი, რისთვისაც დაწესებულება ავტორიზაციიდან ავტორიზაციამდე პერიოდში გადის გარე შემოწმებას - მონიტორინგს,

[32] საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=30

რაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხარისხის შენარჩუნებას და შემდგომ განვითარებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სხვა გარე მექანიზმებია: საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა, პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება. აღნიშნული პროცესების დროს ავტორიზებული დაწესებულება მოწმდება შესაბამისი სტანდარტების გამოყენებით.

ხარისხის გარე უზრუნველყოფა ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების განაცხადით/თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს. საბოლოო გადაწყვეტილებას დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების/მინიჭებაზე უარის თქმის/ან გაუქმების შესახებ იღებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო. საბჭოს წევრებს მინისტრის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი და მისი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლის ვადით.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა განხორციელდა 2020 წელს, როდესაც დამტკიცდა ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა EQAVET რეკომენდაციები. აღნიშნულმა დოკუმენტმა ჩაანაცვლა 2010 წლიდან მოქმედი ინსტრუმენტი, რომელიც 3 ძირითადი სტანდარტის - პროგრამული, ადამიანური რესურსების და მატერიალური რესურსების გამოყენებით აფასებდა საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ცვლილებების შედეგად სისტემაში დაინერგა 5 სტანდარტი, რომლებმაც ზემოაღნიშნულ 3 სტანდარტთან ერთად დაფარა დაწესებულების ინსტიტუციური განვითარებისა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის საკითხები. ამ ეტაპზე სისტემაში მოქმედებს შემდეგი სტანდარტები:

- კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფას ახორციელებს ცენტრი, ხოლო ამ პროცესთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.[33]

[33] „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1031755?publication=53

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი – იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები.

2024 წლის 3 სექტემბრის მონაცემებით, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულია 19 კოლეჯი, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულია 7 კოლეჯი; ხოლო კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით არსებობს 39 კოლეჯი.

სქემა N10: ავტორიზებული პროფესიული კოლეჯების სტატისტიკა



განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფა წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების პრეროგატივას. საკანონმდებლო დონეზე დადგენილია მხოლოდ მოთხოვნა აღნიშნული პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით. დაწესებულებები თავისუფლები არიან, აირჩიონ და გამოიყენონ შესაბამისი მექანიზმი. ერთადერთი მოთხოვნა ამ მიმართულებით განსაზღვრულია ავტორიზაციის სტანდარტებში, რომელიც ამბობს, რომ დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს PDCA ციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე) ან სხვა ალტერნატივას. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესში დაწესებულებები ვალდებულნი არიან, პერიოდულად

განახორციელონ თვითშეფასება, რაც გულისხმობს საკუთარი საქმიანობის შეფასებას ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან მიმართებაში და შესაბამისი ანგარიში წარადგინონ ცენტრში.

3.8 იდენტიფიცირებული გამოწვევები

პროფესიული განათლების კვალიფიკაციების სისტემაში იდენტიფიცირებულია შემდეგი გამოწვევები:

- საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“ განსაზღვრული რიგი კანონქვემდებარე აქტების მიღების გაჭიანურება, ასევე, მოკლე ციკლთან დაკავშირებით საქართველოს კანონებს შორის არსებული ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი აცდენები (იგულისხმება „კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ და „კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“), რაც ხელს უშლის ჩარჩოს დანერგვას;
- ასოცირებული ხარისხის არსებობა თეორიულ დონეზე (პრაქტიკაში იმპლემენტაციისთვის არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები), რაც აფერხებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობასა და ჩარჩოს დანერგვას;
- პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სტრუქტურული გაერთიანება - პროფესიის სტანდარტი წარმოადგენს კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებული მოვალეობების, ამოცანებისა და ცოდნის ერთობლიობას, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია, შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისა და ამ პროგრამის განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი პროფესიის სტანდარტი.

  პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნას ერთიან პროცესად მოიაზრებს. თუმცა მეთოდოლოგიაში პროცედურულად გამიჯნულია პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო

სტანდარტის/მოდულების შემუშავების ეტაპები. აღნიშნული ეტაპები და პროცედურები ურთიერთგადამფარავია, ვინაიდან ეს ორი სტანდარტი სტრუქტურულად იმეორებს ერთისა და იმავე შინაარსისა და ფუნქციის ველებს. პროცესის თანახმად, პროფესიის სტანდარტის ველების შემუშავება წინ უძღვის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნას, თუმცა შესაძლებელია პროფესიის სტანდარტის ჩანაწერების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საჭიროებებიდან გამომდინარე გადახედვა და პროფესიის სტანდარტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, ორივე სტანდარტის ჩანაწერების სინქრონიზაციისთვის. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულების შინაარსის განსასაზღვრად საკმარისია მხოლოდ პროფესიის სტანდარტის მოვალეობების, ამოცანებისა და ცოდნის ნაწილი (პროფესიის სტანდარტის სხვა ველები შესაბამისია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხშირად დამსაქმებლისთვის პროფესიის სტანდარტი გაიგივებულია, როგორც სფეროს მარეგულირებელი სტანდარტი, მაშინ როცა განათლების სისტემა მას მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის იყენებს. პროფესიის სტანდარტი არ გამოიყენება პროფესიული პროგრამის შემუშავების მიზნებისთვის, ის არის მხოლოდ პროფესიის აღმწერი დოკუმენტი. სტანდარტების შინაარსობრივი გაერთიანებით კიდევ უფრო გაღრმავდება კვალიფიკაციების კავშირი შრომის ბაზართან და დამსაქმებლების მოთხოვნებთან – გაჩნდება პირდაპირი ბმა მოვალეობასა და მოდულებს შორის.

- ასევე, გამოწვევად რჩება რეგულირებადი პროგრამების განმარტების შეუსაბამობა უმაღლესი განათლების შესახებ კანონსა და პროფესიული განათლების შესახებ კანონში. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად რეგულირებადი პროფესია არის საქმიანობა, რომლის განხორციელების წინაპირობა, შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის გარდა, არის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან რომლის განსახორციელებლად მოთხოვნილი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება, ხოლო რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა – არის პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს ან/და რომლითაც მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი რეგულირებად პროფესიას განმარტავს, როგორც საქმიანობას, რომლის განხორციელების წინაპირობაა შესაბამისი კვალიფიკაციის ქონა ან/და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და რომლის განსახორციელებლად მოთხოვნილი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული

შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან/და პერიოდული პროფესიული გადამზადება. რეგულირებადი პროფესია არის მაღალი რისკის შემცველი პროფესია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, პიროვნების განვითარებასთან ან/და მაღალ საზოგადოებრივ ინტერესთან.

საგულისხმოა, რომ მხოლოდ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ასახელებს რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო პროფესიული განათლების შესახებ კანონით ამგვარი ჩამონათვალი განსაზღვრული არ არის. აღნიშნული იწვევს ბუნდოვანებას უმაღლესი განათლების საფეხურზე რეგულირებადად განსაზღვრული პროგრამების შესაბამის სფეროებში პროფესიული განათლების საფეხურზე პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით. მაგალითად საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამები რეგულირებადია, მაგრამ პროფესიული განათლების შესახებ კანონი არ არეგულირებს საექთნო საქმის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ[34] საქართველოს კანონის თანახმად, საექთნო საქმის უმაღლესი პროფესიული პროგრამისა და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს პროფესიაში შესვლის უფლება.

- გამოწვევად რჩება არაფორმალური სახელოვნებო განათლების ფორმალური განათლების მიზნებისთვის აღიარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების მოწესრიგება.

[34] საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=10

4. კვალიფიკაციები უმაღლეს განათლებაში



4.1 უმაღლესი განათლების საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოში უმაღლესი განათლება რეგულირდება საქართველოს კანონებით: „უმაღლესი განათლების შესახებ“[35], ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“[36] და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს. კანონი ასევე განსაზღვრავს უმაღლესი განათლების საფეხურების ციკლს და არეგულირებს მნიშვნელოვან საკითხებს ამ მიმართულებით, კერძოდ, კანონით დადგენილია, რომ:

- საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემა სამსაფეხურიანია და ხორციელდება უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის (I საფეხური), მაგისტრატურისა (II საფეხური) და დოქტორანტურის (III საფეხური) საფეხურებზე;

[35] „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=114

[36] საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=30

- უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. მაგისტრატურის საფეხურის სწავლის შედეგები - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებსა და დოქტორანტურის საფეხურის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.
- გარდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ასევე ახორციელებენ მოკლე ციკლისა და ერთსაფეხურიან (მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან) საგანმანათლებლო პროგრამებს. დადგენილია უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მინიმალური მოცულობა კრედიტებში.[37]
- სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით, რომელიც გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან;
- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც სრულდება ვეტერინარიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც სრულდება ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. კანონი ასევე განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას.
- უმაღლესი განათლების საფეხურზე ხორციელდება შემდეგი სასერტიფიკატო პროგრამები;
    - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
    - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
    - ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
    - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.
    -

დადგენილია უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მინიმალური მოცულობა კრედიტებში.

[37] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის და განხორციელების დროს იყენებენ კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის ECTS სახელმძღვანელოს.

მოქმედი კანონმდებლობა ასევე ადგენს უმაღლესი განათლების საფეხურებზე პროგრესიის პრინციპებს, კერძოდ: ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს; მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს; დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს; გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირს მაგისტრის ხარისხი მოპოვებული აქვს არანაკლებ 60 ECTS კრედიტის მოცულობის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპონენტების ათვისების/შესრულების შედეგად, პირს ენიჭება შესაბამისი - ბაკალავრის/მაგისტრის/დოქტორის - აკადემიური ხარისხი, უმაღლესი განათლების თითოეული ციკლის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი დიპლომი და დიპლომის დანართი.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი მოიცავს რეგულირებადი პროფესიის დეფინიციას და მას განმარტავს, როგორც საქმიანობას, რომლის განხორციელების წინაპირობა, შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის გარდა, არის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, ან რომლის განსახორციელებლად მოთხოვნილი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება. ამავე კანონით რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს ან/და მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით.

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებია:

- იურიდიული;
- სამედიცინო;
- პედაგოგიური;
- საზღვაო;
- ვეტერინარიის;
- საექთნო;
- მეან-ექთნის (Midwife);

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებას, რომლის მოთხოვნების გათვალისწინება სავალდებულოა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისთვის.

კანონი ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპებსა და მათ უფლებამოსილებას სხვადასხვა საფეხურის შესაბამისი პროგრამების განხორციელების კონტექსტში. კერძოდ, კანონის მიხედვით, საქართველოში ფუნქციონირებს ორი ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: ა) კოლეჯი –ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის - საგანმანათლებლო პროგრამებს; ბ) უნივერსიტეტი –ახორციელებს ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამას, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს, მაგისტრატურის ან/და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს ან აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.

საქართველოში ასევე ფუნქციონირებს მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებები. მართლმადიდებლურ სწავლა-მოძღვრებასა და კულტურაზე დაფუძნებული საღვთისმეტყველო განათლება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს მოიცავს; მართმადიდებლური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ავტორიზაციას გადიან განსხვავებული წესით;

აკრედიტაციის გავლა სავალდებულოა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის.

უმაღლესი განათლების საკანონმდებლო ჩარჩო საშუალებას აძლევს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საქართველოში შეიმუშაონ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (ევროპული მიდგომის გამოყენებით)[38]. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები შესაძლებელია, ერთობლივად განახორციელოს საქართველოს რამდენიმე უმაღლესმა საგანმანათლებლო

[38] European Quality Assurance Register for Higher Education (EQAR) „European Approach for Quality Assurance of Joint Programmes“ https://www.eqar.eu/kb/joint-programmes/

დაწესებულებამ ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

უმაღლესი განათლების მიღება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ითვალისწინებს სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინასების შესაძლებლობას. ამასთან, სახელმწიფო გრანტი გაიცემა მხოლოდ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხებს და ზოგადი სახით ქმნის უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივ საფუძვლებს.

- ავტორიზაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომელიც სავალდებულოა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ ავტორიზებული და ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს. ავტორიზაციის პროცესი ხორციელდება ავტორიზაციის დებულებით[39] დადგენილი წესით, რომლითაც ასევე დამტკიცებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები.
- განსაზღვრულია კლასტერული აკრედიტაციის ცნება და აკრედიტაცია სავალდებულოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სახისა და საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის (გარდა მართლმადიდებლური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა). უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამისათვის, ასევე კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. აკრედიტაციის პროცესი ხორციელდება აკრედიტაციის დებულებით[40]

[39] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ https://www.eqe.ge/res/NewFolder%202/NewFolder/%E2%84%9699.%E1%83%9C.pdf

[40] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №65/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" https://www.eqe.ge/res/images/%E2%84%9665.%E1%83%9C%20%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

დადგენილი წესით. ამავე დებულებით ასევე დამტკიცებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები.

ამ მიმართულებით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია შემდეგი გამონაკლისები: სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაფუძნება და ფუნქციონირება, რომელზეც ვრცელდება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებისგან განსხვავებული წესები და სხვა დამატებითი რეგულაციები განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის დაშვებას. აღსანიშნავია რომ ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შექმნის შესახებ“ კანონით განისაზღვრა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის, როგორც ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო საგანმანათლებლო კომპლექსის შექმნისა და ფუნქციონირების სამართლებრივი თავისებურებები. დაწესებულება შიდა რეგულირების საფუძველზე ითვლება ავტორიზებულად და არ ექვემდებარება ხარისხის გარე შეფასებას. დაწესებულებას თავისი სტრატეგიული განვითარების გეგმა ავალდებულებს გარკვეულ დროში საერთაშორისო აკრედიტაციის გავლას.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესი და პირობები; აღნიშნულ პროგრამებს ახორციელებენ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თანამშრომლობით განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები კანონის შესაბამისად ჩაითვალა აკრედიტებულად იმ ვადით, რომლითაც ითვლება აღიარებულად/აკრედიტებულად ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით. აღნიშნულ პროგრამებს მიღებული აქვთ აშშ კალიფორნიის „სკოლებისა და კოლეჯების დასავლური ასოციაციის (WASC)“ უმაღლესი კოლეჯისა და უნივერსიტეტის კომისიის, ასევე, ინჟინერია და ტექნოლოგიების აკრედიტაციის საბჭოს ABET-ის აკრედიტაცია. უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი, სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს მთავრობა და უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოა საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

4.2 ტიპური კვალიფიკაციები უმაღლეს განათლებაში

უმაღლესი განათლება არის სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 – მე-8 დონეების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას და დასტურდება კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და მინისტრის შესაბამისი ბრძანება[41] უმაღლესი განათლების ქვესისტემაში განსაზღვრავს შემდგომ ტიპურ კვალიფიკაციებს:

კვალიფიკაციის დონე ჩარჩოს მიხედვით	უმაღლესი განათლების ქვესისტემაში არსებული კვალიფიკაციები
დონე 6	ბაკალავრი; მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი; სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი.
დონე 7	მაგისტრი; დიპლომირებული მედიკოსი/სტომატოლოგი; განათლების მაგისტრი; ვეტერინარიის მაგისტრი; ვეტერინარის მომზადების სერტიფიკატი
დონე 8	დოქტორი

4.3 კვალიფიკაციების ფორმირება უმაღლეს განათლებაში და უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები

უმაღლეს განათლებაში კვალიფიკაციის ფორმირება ეფუძნება სწავლის შედეგებს. აღნიშნული დასტურდება:

[41] „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანება

- განათლების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებით, სადაც მოცემულია სწავლის შედეგები დეფინიცია და განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგებით;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დოკუმენტით, სადაც კვალიფიკაციის დონის განსაზღვრის ინსტრუმენტად დადგენილია განზოგადებული სწავლის შედეგები;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორით, სადაც დეტალურ სფეროში სწავლის სფეროების კლასიფიცირება ეფუძნება სწავლის შედეგებს;
- მინისტრის ბრძანებით, რომელიც ადგენს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის საფუძველზეც ენიჭება კვალიფიკაცია, აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგებით, რომლებიც, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს ჩარჩოს ერთ-ერთი დონის განზოგადებულ სწავლის შედეგებს ან/და საგანმანათლებლო სტანდარტს;
- აკრედიტაციის სტანდარტებით, სადაც პირველი სტანდარტი ითხოვს, რომ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული სწავლის შედეგები;
- ავტორიზაციის სტანდარტებით, სადაც მესამე სტანდარტის - საგანმანათლებლო პროგრამების - მიხედვით, დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამაში ნათლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები და ისინი უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების საფეხურის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

საქართველოში 2011 წლიდან დაიწყო უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების (შემდგომში-დარგობრივი მახასიათებელი) განვითარების პროცესი. დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი ეფუძნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკისა და საკანონმდებლო მოთხოვნებს. დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და საგანმანათლებლო პროგრამის დამაკავშირებელი შუალედური დოკუმენტია და განსაზღვრავს კონკრეტულ სწავლის სფეროში კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმუმს (თუმცა არ ამოწურავს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს), მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის, შეფასების მიდგომებს, რესურსებსა და სხვა არსებით მახასიათებლებს. დარგობრივ მახასიათებლებზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაფუძნება უზრუნველყოფს ქვეყანაში გაცემული კვალიფიკაციების ხარისხსა და ერთგვაროვნებას. ამ დრომდე შესაბამისი მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების მიერ ჯამურად დამტკიცებულია 84 უმაღლესი განათლების დარგობრივი

მახასიათებელი, რომელთაგან წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების მომენტისთვის მოქმედია 64 დარგობრივი მახასიათებელი და გადამუშავების შედეგად ძალადაკარგულია 20. [42].

შესაბამისად, იმ სწავლის სფეროებში, სადაც არსებობს დარგობრივი მახასიათებელი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საბაკალავრო, სამაგისტრო, ინტეგრირებულ და 60 კრედიტიან სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამებს ქმნის და ავითარებს დარგობრივ მახასიათებელზე დაყრდნობით, რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი სპეციალური მოთხოვნები, ხოლო იმ სწავლის სფეროებში, სადაც ჯერ არ არის შექმნილი აღნიშნული დოკუმენტი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ეყრდნობა და ორიენტირად იყენებს ჩარჩოს განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

დარგობრივი მახასიათებლის პროექტს შეიმუშავებს შესაბამისი მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო, ხოლო ამტკიცებს ცენტრის დირექტორი. დარგობრივი მახასიათებლის შექმნის მეთოდოლოგია და საბჭოს საქმიანობის წესი დადგენილია ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.[43] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქმედი მეთოდოლოგია გადამუშავდა „დაძმობილების (Twinning) პროექტის“ ფარგლებში და ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით, დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება ღია და საჯარო პროცესია. ის შეიძლება, განხორციელდეს ცენტრის ან გარე ინიციატორის ინიცირებით. ორივე შემთხვევაში, პროცესი მიმდინარეობს შემდეგი ეტაპების დაცვით:

დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების/განახლების ინიცირება ცენტრის მიერ დარგობრივი საბჭოს/ დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავება ცენტრის ვებ-გვერდზე დოკუმენტის პროექტის განთავსება წინადადებების მიღებისთვის დოკუმენტის პროექტის საჯარო განხილვა საბჭოს მიერ, დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენა დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცება ცენტრის

[42] სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი - დარგობრივი მახასიათებლების რეესტრი: https://eqe.ge/ka/page/parent/946/umaghlesi-ganatlebis-kvalifikaciebis-ganvitareba

[43] უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისი N476/ი ბრძანება

დირექტორის მიერ დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლის გამოქვეყნება ცენტრის ვებ-გვერდზე.

დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების/განახლების გარე ინიცირება სამუშაო ჯგუფის/ დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ, დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავება დარგობრივი მახასიათებლის პროექტის განსახილველად წარდგენა შესაბამისი დარგობრივი საბჭოსთვის დარგობრივი საბჭოს მიერ შეჯერებული დოკუმენტის პროექტის ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება წინადადებების მიღებისთვის დოკუმენტის პროექტის საჯარო განხილვა საბჭოს მიერ, დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენა დარგობრივი მახასაითებლის დამტკიცება ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლის გამოქვეყნება ცენტრის ვებ-გვერდზე.

მიმდინარე მდგომარეობით, დარგობრივი მახასიათებელი შექმნილია/შემუშავების ან განახლების პროცესშია ყველა რეგულირებადი პროფესიის საგანმანათლებლო პროგრამისათვის (აღნიშნული ვალდებულება გაწერილია საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“) და სულ 2025 წლის იანვრის მდგომარეობით, რეგულირებადი სფეროებისთვის დამტკიცებულია 15 დარგობრივი მახასიათებელი, ხოლო სხვა სწავლის სფეროებისთვის- 49 დარგობრივი მახასიათებელი[44]. დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა განისაზღვრება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე და მერყეობს 5-დან 7 წლამდე. აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ დოკუმენტი ექვემდებარება გადახედვას ან/და განვითარებას ან/და გაუქმებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს კლასიფიკატორში სწავლის სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციის დამატების, შეცვლის, ამოღების, გაერთიანების ან გაყოფის ერთ-ერთ საფუძველს. დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებისას ერთ-ერთი არსებითი ასპექტია თანმიმდევრული და გამჭვირვალე მეთოდოლოგიის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიკაციების სწორად განაწილებას ჩარჩოს ფარგლებში, გაზრდის უშუალოდ ჩარჩოს გამჭვირვალობასა და საიმედოობას და ხელს შეუწყობს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან რეფერენსირების პროცესს. უმაღლეს განათლებაში მოქმედებს შემდეგი პროგრამები:

დონე	პროგრამის სახე	აღწერა	დაშვება შემდეგ საფეხურზე

[44] დარგობრივი მახასიათებლების რეესტრი https://eqe.ge/ka/page/parent/946/umaghlesi-ganatlebis-kvalifikaciebis-ganvitareba

VI	საბაკალავრო პროგრამები	პროგრამის მოცულობაა არანაკლებ 240 კრედიტი, ხანგრძლივობა 4 წელი. გამონაკლისი დაშვება: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ განსაზღვრული ხელოვნების, ბიზნესი და ადმინისტრირების ვიწრო სფეროებში კლასიფიცირებული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, გამონაკლისების სახით, შესაძლებელია მოიცავდეს არანაკლებ 180 კრედიტს, სხვა სწავლის სფეროებში, 180 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთობლივად განხორციელების შემთხვევაში.	მაგისტრატურა
VII	სამაგისტრო პროგრამები	პროგრამის მოცულობაა არანაკლებ 120 კრედიტი, ხანგრძლივობა 2 წელი.	დოქტორანტურა გამონაკლისი:

		<u>გამონაკლისი დაშვება:</u> უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შეიმუშაოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. წესის თანახმად, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს, შემუშავება და განხორციელება შესაძლებელია ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნებისთვის, მათ შორის, აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვისაც. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ბაკალავრიატის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა. ამ პროგრამაზე ჩარიცხვის წესს და პირობებს განსაზღვრავს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს არ იძლევა დაშვებას განათლების შემდგომ საფეხურზე, დოქტორანტურაში.

		მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის, დამატებით, სავალდებულოა არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება მართვის/ადმინისტრირების სფეროში.	
VI	სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის მოცულობაა 60 კრედიტი, ხანგრძლივობა 1 წელი	არა
VI	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის მოცულობაა 60 კრედიტი, ხანგრძლივობა 1 წელი	არა
VI-VII	ერთსაფეხურიანი (ინტეგრირებული) პროგრამები	დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა - მოცულობა 360 კრედიტი, ხანგრძლივობა 6 წელი; დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა - პროგრამის მოცულობა 300 კრედიტი, ხანგრძლივობა 5 წელი; მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა. პროგრამის მოცულობა 300 კრედიტი, ხანგრძლივობა 5 წელი; ვეტერინარიის ინტეგრირებული	დოქტორანტურა

		სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის მოცულობაა 300 კრედიტი, ხანგრძლივობა 5 წელი.	
VII	სამაგისტრო პროგრამები	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA). მისი მოცულობაა 60 კრედიტი, ხანგრძლივობა 1 წელი.	არა
VII	ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის მოცულობაა 60 კრედიტი, ხანგრძლივობა 1 წელი; პროგრამაზე დაიშვებიან მხოლოდ ვეტერიინარიის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირები; პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ვეტერინარის სერტიფიკატი	დოქტორანტურა
VIII	სადოქტორო პროგრამები	პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს; ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი	

4.4 კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები უმაღლეს განათლებაში, მიმნიჭებელი ინსტიტუციები და კვალიფიკაციის მინიჭების პირობები

უმაღლესი განათლების ფარგლებში გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

- ბაკალავრის დამადასტურებელი დიპლომი;
- მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი;

- დიპლომირებული მედიკოსის დამადასტურებელი დიპლომი;
- დიპლომირებული სტომატოლოგის დამადასტურებელი დიპლომი;
- განათლების მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი;
- ვეტერინარიის მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი;
- მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი;
- სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი;
- ვეტერინარის მომზადების სერტიფიკატი;
- დოქტორის დამადასტურებელი დიპლომი.

ამასთან, მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით[45] დამტკიცებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის-დიპლომისა და დიპლომის დანართის ფორმა, რომელიც შემუშავებულია ევროკომისიის, ევროსაბჭოს და იუნესკოს/CEPES მიერ შემუშავებული ფორმატით. კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად სავალდებულო წესით გაიცემა მისი დანართი.

ასევე მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებლის მომზადების/ სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის[46] ფორმაც. ასევე მინისტრის ბრძანებითაა დამტკიცებული ვეტერინარის მომზადების სერტიფიკატის ფორმა[47].

დიპლომი გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად. მისი შინაარსი უნდა იძლეოდეს მინიჭებული კვალიფიკაციის იდენტიფიცირების საშუალებას.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია. კვალიფიკაციის მინიჭების პირობების დადგენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივაა.

[45] „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის ფორმის დამტკიცების შესახებ' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანება; „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის ფორმის დამტკიცების შესახებ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N149 ბრძანება

[46] "მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება N142/ნ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3394180?publication=2

[47] „ვეტერინარის სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის N 134/ნ ბრძანება https://matsne.gov.ge/ka/document/view/5632268?publication=1

გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ იღებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტი/სკოლა. სადოქტორო საფეხურზე კანდიდატს კვალიფიკაციას ანიჭებს სადისერტაციო საბჭო.

4.5 სწავლის შედეგების შეფასება და კრედიტების სისტემა უმაღლეს განათლებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის შესამუშავებლად, კვალიფიკაციის მინიჭების, განათლების აღიარებისა თუ მობილობის კუთხით, უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში მნიშვნელოვანწილად ეფუძნება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას (ECTS). კრედიტი გულისხმობს სასწავლო დატვირთვის მოცულობას, რაც განისაზღვრება სწავლის შედეგების მიღწევის საჭიროებათა გათვალისწინებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ"[48] ადგენს კრედიტების განაწილების წესსა და სტუდენტის დატვირთვის რეგულაციებს, ასევე, სტუდენტის შეფასების წესებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისათვის, აწესებს განსხვავებული ფორმით შეფასების შესაძლებლობებს შემსრულებლობასთან დაკავშირებული სახელოვნებო განათლებისთვის და სხვა საკითხებს. ბრძანების რეგულირების სფერო ეფუძნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) მიერ შემუშავებულ პრინციპებსა და მიდგომებს. აკრედიტაციის სტანდარტების ის ნაწილები, რომლებიც ეხება საგანმანათლებლო კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილებასა და სტუდენტის დატვირთვას, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდებს, სტუდენტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასებას, უნდა შეფასდეს ამ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნებისა და ECTS სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. ამავე ბრძანების, ასევე, აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, „პროგრამაში შემავალი კომპონენტების ფარგლებში შეთავაზებული კურსების მოცულობა წარმოდგენილი უნდა იყოს ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, რომლის მიხედვით, 1 კრედიტი უტოლდება 25 - 30 საათის დატვირთვას" და „თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრული უნდა იყოს კრედიტებში. სასწავლო კურსის დაგეგმვისას და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო საათები, რომელთა მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა უნდა იყოს სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და

[48] მინისტრის ბრძანება N3 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/68458?publication=16

სირთულის, კურსის ფარგლებში გამოსაყენებელ სწავლა-სწავლების მეთოდების რელევანტური[49]".

№3 ბრძანების მიხედვით, სტუდენტს კრედიტი ენიჭება ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შედეგად. შეფასების სახეებია:

- A - ფრიადი - 91-100 ქულა;
- B - ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- C - კარგი - 71-80 ქულა;
- D - დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- E - საკმარისი - 51-60 ქულა;
- FX – ვერ ჩააბარა, სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე - 41-50 ქულა
- F - ჩაიჭრა - სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს კურსი - 40 ქულა და ნაკლები.

№3 ბრძანება სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს:

სტუდენტის შეფასების გამიჯვნას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კოპონენტებისათვის, რის საფუძველზეც მოწესრიგებულია სტუდენტის შეფასების საკითხები სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით; სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემოქმედებითი/საშემსრულებლო პრაქტიკული სახის პროექტის/ნამუშევრის შეფასება განსხვავებული სისტემით (,წარმატებით ჩააბარა – 91-100 ქულა; ბ) ჩააბარა – 51-90 ქულა;

გ) ვერ ჩააბარა – 50 ქულა და ნაკლები);

პანდემიის პირობებში სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის, სამაგისტრო/ სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისა და, შესაბამისად, შეფასების თავისებურებებს და განსაზღვრავს ნაშრომის წარდგენისათვის ხელშემწყობ პირობებს.

4.6 უმაღლეს განათლებაში ტრანზიციის გზები და სფეციფიკური კვალიფიკაციები

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებობს ტრანზიციის შემდეგი გზები: პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) დასრულების შემდეგ პირს შეუძლია,

[49] აკრედიტაციის დებულება https://matsne.gov.ge/ka/document/view/1320588?publication=27

სწავლა გააგრძელოს მეორე საფეხურზე (მაგისტრატურაზე), რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაზე) სწავლის გაგრძელების წინაპირობას. ბაკალავრიატიდან მაგისტრატურაზე ან მაგისტრატურიდან დოქტორანტურის საფეხურზე გადასვლისას აპლიკანტი მოქნილია. შეზღუდვები დაწესებულია მხოლოდ რეგულირებადი პროგრამების ფარგლებში.

ერთსაფეხურიანი (საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული) პროგრამებიდან სწავლის გაგრძელება შეიძლება დოქტორანტურის პროგრამაზე. გამონაკლისია:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – პროგრამა მიზნად ისახავს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ იმ პირთათვის, ვისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე შეძენას, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის საფეხურზე ან ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 60-კრედიტიანია. მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში. პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს მისი დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. პროგრამის განხორციელების ვალდებულება აქვთ მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. სტუდენტები ვალდებულნი არიან, აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრიატის ან ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა განაგრძონ ქართულ ენაზე.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - ხორციელდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეზე. მასწავლებლის მომზადების/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 ECTS კრედიტს და ხორციელდება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ხორციელდება და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებლად. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებლად. მასწავლებლის მომზადების/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა მასწავლებლის მომზადების/სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი,

რომელიც პირს საგნობრივი გამოცდის ჩაბარების შემდგომ მასწავლებლად დასაქმების შესაძლებლობას აძლევს. თუ საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მოიცავს, დიპლომსა და დიპლომის დანართში მიეთითება აგრეთვე ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლება.

ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – სწავლის შედეგების მიღწევით შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს, ამიტომ პირს ანიჭებს დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

არანაკლებ 60 კრედიტის მოცულობის სამაგისტრო პროგრამა და EMBA პროგრამა – **პირს ანიჭებს მაგისტრის ხარისხს, მაგრამ არ ანიჭებს სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.**

სქემა N11: უმაღლეს განათლებაში ტრანზიციის გზები



4.7 კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლეს განათლებაში

საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგ მექანიზმებს:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმია ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რაც გულისხმობს დაწესებულების ინსტიტუციურ და პროგრამულ შეფასებას და მისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელების უფლების მინიჭებას. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელების პროცესში ცენტრი ითვალისწინებს ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგის” და ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებულ რეკომენდაციებს, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მოთხოვნებს.

ავტორიზაცია სავალდებულოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუქციონირებისთვის, ასევე, აკრედიტაცია სავალდებულოა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. გარდამავალ ეტაპზე სისტემაში მოქმედებს არააკრედიტებული პროგრამები, რომელთა აკრედიტაციის ვადები განსაზღვრულია კანონმდებლობით; ამასთან, მხოლოდ ავტორიზებულ დაწესებულებას აქვს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის გაცემის უფლება და მხოლოდ აკრედიტებულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი იღებს სახელმწიფო დაფინანსებას/გრანტს.

ავტორიზაცია დაწესებულებას ენიჭება 6 წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ სისტემურ დონეზე მუდმივად კონტროლდება დაწესებულებების მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხი, რისთვისაც დაწესებულება პერიოდულად გადის გარე შემოწმებას (თანმდევი პროცესები - follow up) - მონიტორინგის (გეგმიური, არაგეგმიური) და ანგარიშების (1 წლიანი, შუალედური - 3 წლიანი) შეფასების გზით, რაც უზრუნველყოფს უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციების ხარისხის შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმია ასევე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა ინსტიტუციური რაოდენობის ფარგლებში და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განხორციელებისთვის, ავტორიზაციის შეფასების პროცესის დროს პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა. აღნიშნული პროცესების

დროს, ავტორიზებული დაწესებულება მოწმდება შესაბამისი პროცედურების დაცვით, რომელსაც ითვალისწინებს ავტორიზაციის დებულება[50].

ავტორიზაციის პროცესში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების განაცხადით/თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს. საბოლოო გადაწყვეტილებას დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების/მინიჭებაზე უარის თქმის/ან გაუქმების შესახებ იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მინისტრის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი. აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს საერთაშორისო ექსპერტი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება ახორციელებს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას, ჯგუფს ემატება კიდევ ერთი საერთაშორისო ექსპერტი თავმჯდომარის მოადგილის რანგში.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა განხორციელდა 2017-2018 წლებში, როდესაც დამტკიცდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის კონტექსტში შემუშავებული ESG-2015 სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები. ავტორიზაციის დებულებით დამტკიცებულია ავტორიზაციის სტანდარტები:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება;
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა;
გ) საგანმანათლებლო პროგრამები;
დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი;
ე) სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები;
ვ) კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა;
ზ) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

მიმდინარე ეტაპზე ცენტრში არსებული სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულია ავტორიზაციის სტანდარტებში ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტების მესამე მისიის ხარისხის შეფასების საკითხებს, ელექტრონული

[50] „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანება https://matsne.gov.ge/ka/document/view/1031755?publication=0

სწავლების თავისებურებების შეფასების ინდიკატორებს, ასევე, ინსტიტუციაში სამეცნიერო კვლევების პოლიტიკის ხარისხის შეფასების ინდიკატორებსა და სხვა მოთხოვნებს, რომლებიც ინსტიტუციის განვითარებისა და პროგრესის მაჩვენებლებს აფასებს.

აკრედიტაციის პროცესში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების განაცხადით/თვითშეფასებითა და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს. საბოლოო გადაწყვეტილებას დაწესებულებისთვის აკრედიტაციის მინიჭების/მინიჭებაზე უარის თქმის/ან გაუქმების შესახებ იღებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო. საბჭოს წევრებს მინისტრის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს უძღვება საერთაშორისო ექსპერტი, გარდა ინდივიდუალურად განხორციელებული ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების, ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისა.

აკრედიტაციის დებულებით დამტკიცებულია აკრედიტაციის სტანდარტები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;

ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;

გ) სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; დ) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;

ე) სწავლის ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

უმაღლესი განათლების სისტემის სხვადასხვა მხარისა და საერთაშორისო ექსპერტთა ფართო ჩართულობით ჩამოყალიბდა და შეჯერდა პროგრამულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განახლების ხედვებისთვის. ევროკავშირის დაძმობილების პროექტის „ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერების“ TWINING ფარგლებში ცენტრმა 2020 წელს დაიწყო აკრედიტაციის ახალი მოდელის, კლასტერული აკრედიტაციის კონცეფციის შემუშავება. 2022 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეიქმნა საკანონმდებლო ჩარჩო კლასტერული აკრედიტაციის სისტემის დასაწყებად. ამავდროულად განხორციელდა კლასტერული აკრედიტაციის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა, რომლის მიხედვით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ შესაძლებლობა, აკრედიტაციის პროცესის მიზნებისთვის ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო განაცხადი

წარმოადგინონ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული სახით. საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფების წესი და პირობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების შერჩევა წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების პრეროგატივას, თუმცა საკითხს არეგულირებს აგრეთვე კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, რომლის თანახმადაც უსდ-ში, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების გარდა, უნდა არსებობდეს აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლისთვისაც გაწერილია ძირითადი ფუნქციური დატვირთვა. შიდა მექანიზმის ეფექტური მუშაობა ასევე ფასდება ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, რომელთა მიხედვითაც დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს PDCA ციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე). ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესში დაწესებულებები ვალდებულნი არიან, პერიოდულად განახორციელონ თვითშეფასება, რაც გულისხმობს საკუთარი საქმიანობის შეფასებას ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან მიმართებაში და შესაბამისი შუალედური ანგარიში წარადგინონ ცენტრში ავტორიზაცია-აკრედიტაციის მიღებიდან 3 წლის თავზე.

კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით შესაბამისი ჩანაწერები მოცემულია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებში. კერძოდ, ავტორიზაციის სტანდარტების მე-3 ნაწილში საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ განსაზღვრულია მოთხოვნა, რომ პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და მის საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იგივე მეორდება აკრედიტაციის პირველ სტანდარტშიც უშუალოდ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ასევე პირველ სტანდარტში ზუსტდება, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას. მე-2 სტანდარტი ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებს, რომლებიც ითხოვს კანონმდებლობის შესაბამისად შემდეგ საფეხურზე დაშვების პირობებსა და კვალიფიკაციის თავისებურებების გათვალისწინებას, ხოლო მე-4 სტანდარტის მიხედვით, განმახორციელებელი პერსონალს უნდა უდასტურდებოდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისა და გამომუშავების კომპეტენცია. მე-5 სტანდარტი აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობებს და მიუთითებს ციკლური პროცესების განხორციელების დაგეგმვაზე, რომელიც კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პროცესია. აღნიშნული მოთხოვნების დაცვა უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული კვალიფიკაციების ხარისხის საიმედოობას.

2021 წლის განმავლობაში აკრედიტაციისა და ავტორიზაციის დებულებებში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებას და ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილი სხვადასხვა სახის ხარვეზის აღმოფხვრას.

ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური განვითარების ფარგლებში მიმდინარე ეტაპზე მომზადებულია ცვლილებების განხორციელება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებში. ცვლილებების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები უფრო მეტად უახლოვდება ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის კარგ პრაქტიკებს და მახასიათებლებს.

2024 წელს ცენტრმა მნიშვნელოვანი სიახლე შესთავაზა უმაღლესი განათლების სივრცის მომხმარებლებს, დამტკიცდა სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სტანდარტი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებიც ეფუძნება როგორც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილ საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას, ასევე „ზალცბურგი II რეკომენდაციებს“. დოკუმენტი ხელს შეუწყობს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას საქართველოში.

2024 წელს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, 2026 წლამდე უმაღლესი სისტემაში უნდა შემუშავდეს ონლაინ უნივერსიტეტის კონცეფცია/მოდელი, რომელიც გაითვალისწინებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების საკითხებს. კანონში ასევე განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მნიშვნელოვნად წახალისდა ელექტრონული სწავლების განხორციელების კომპონენტები. ხოლო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით[51] დამტკიცდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალი, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული.

[51] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №142/ნ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალის, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მაქსიმალური რაოდენობის, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული დამტკიცების შესახებ"

https://www.eqe.ge/res/NewFolder%202/NewFolder/%E2%84%96142%20%E1%83%9C%20%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

4.8 აკადემიური კეთილსინდისიერება და კვლევის ეთიკა

აკადემიური კეთილსინდისიერება წარმოადგენს ფუნდამენტური ღირებულებების – პატიოსნება, ნდობა, სამართლიანობა, პატივისცემა და პასუხისმგებლობა - ერთიანობას. უმაღლესი განათლების სისტემაში გაზიარებულია აკადემიური კეთილსინდისიერების ღირებულებები და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სთავაზობს სისტემაში ჩართულ მხარეს, გაიზიარონ აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების მნიშვნელობა, როგორც ფართო საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხებს. ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით, უნივერსიტეტი მართვის პროცესში ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას. 2.3 კომპონენტი ითვალისწინებს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას, რომლის შესაბამისად, უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საჯაროდ ხელმისაწვდომ რეგულაციებს და ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. ამის დასადასტურებლად, უნივერსიტეტებს წარმოდგენილი აქვთ:

- ეთიკისა და ქცევის წესები;
- დარღვევაზე რეაგირების პროცედურები;
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების,
- პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები;
- უსდ-ის მარეგულირებელი აქტ(ებ)ი და სხვა.

ახლად დამტკიცებული სადოქტორო განათლების ჩარჩო-დოკუმენტის ერთ-ერთი მიზანია აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და დოქტორანტის კარიერული განვითარების პროცესში ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობა; ხოლო მოთხოვნების მიხედვით, უნივერსიტეტებმა სადოქტორო პროგრამაში ჩართულ მხარეებს უნდა შესთავაზონ ისეთი მხარდამჭერი სერვისები, რომლებიც უზრუნველყოფს კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების ჩამოყალიბებას. დოკუმენტის მოთხოვნების მიხედვით, კვლევის ეთიკა და აკადემიურ კეთილსინდისიერება წარმოდგენილია, როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საკვანძო საკითხი. კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის რეგულირება წარმოჩენილია, როგორც უნივერსიტეტების ვალდებულება. სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის,

უნივერსიტეტები წარმოადგენენ:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმებსა და მექანიზმებს;
- კვლევის ეთიკის კომისიის ან სხვა შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მუშაობის წესს;
- აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს.

4.9 იდენტიფიცირებული გამოწვევები

- ასოცირებული ხარისხის არსებობა მხოლოდ კანონის დონეზე (პრაქტიკაში იმპლემენტაციისთვის არ არსებობს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები), რაც აფერხებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობასა და პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაში პროგრესიის ბარიერების აღმოფხვრას;

- აკადემიური განათლების საფეხურზე ფორმალური განათლების აღიარების შეზღუდვა (არ აღიერებენ უმაღლესი პროფესიული განათლების სწავლის შედეგებს, თუმცა დაშვებულია ასოცირებული ხარისხის სწავლის შედეგების აღიარება, მაშინ როცა ორივე მეხუთე დონის სწავლის შედეგებზე გადის);

- 60-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერის დაზუსტება აღნიშნული პროგრამებისთვის. რამდენადაც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი ადგენს, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო უმაღლესი სპეციალობისა, არ შეიძლება, შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზედაც ის შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, მიმართულების, სწავლის სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით. საგულისხმოა, რომ 2024 წელს განხორციელდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც განიხილეს აღნიშნული საკითხი. მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი მიიჩნევს, რომ 60-კრედიტიანი და 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს შორის განსხვავება, განსაკუთრებით კი კვლევითი ნაშრომების სავალდებულოობის საკითხი, უნდა აისახოს შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში. მონიტორინგის შესრულების გემის შესაბამისად

მომზადებულია 2019 წლის 30 სექტემბრის 206/ნ ბრძანებაში ცვლილების პროექტი სამინისტროში წარსადგენად.

- კრედიტების სისტემა უსდ-ებში ხშირად მორგებულია ყოველდღიურ და პრაგმატულ საჭიროებებს - განათლების აღიარების, მობილობისა და სასწავლო გეგმის მარტივად განაწილების კუთხით, კრედიტის მოცულობის კალკულაციის მოდელირება სათანადოდ ვერ ხერხდება, ასევე, გარე ხარისხის შეფასების კონტექსტში;

- აკრედიტაციის პროცესში გამოწვევად რჩება სამაგისტრო პროგრამების დაშვების წინაპირობების განხილვა, რადგან კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ პოტენციურ სტუდენტს აძლევს საშუალებას, შეიცვალოს პროფესია (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისა), თუმცა ამ ცვლილების დარგობრივი მასშტაბი (ფართო-ვიწრო-დეტალური სფერო) არსად არაა დადგენილი, ხოლო სტანდარტი ითხოვს, რომ დაშვების წინაპირობა პროგრამის შინაარსს უნდა შეესაბამებოდეს

- განსახილველია ბაკალავრიატის საფეხურზე კვლევითი კომპონენტის პროგრამის სავალდებულოდ განსაზღვრის საკითხი, რამდენადაც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერი ითვალისწინებს „კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელებას წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად,“ აგრეთვე, ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერი „უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით“, რომლის მიღწევაც შეუძლებელია შესაბამისი წინარე ცოდნისა და გამოცდილების გარეშე. აღნიშნული თემა განსაკუთრებით აქტუალურია ერთსაფეხურიანი აკადემიური პროგრამების შემთხვევაში, როცა კურსდამთავრებული სწავლას აგრძელებს დოქტორანტურის საფეხურზე იმ პირობებში, როცა მას შეიძლება, არ ჰქონდეს შესრულებული საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი; ამასთან, აღსანიშნავია, რომ რიგ, მათ შორის, რეგულირებად, სფეროებში, როგორებიცაა: სტომატოლოგია, მედიცინა და ვეტერინარია (შენიშვნა: რეგულაცია შეიცვალა 2025 წლიდან), რომლებშიც ხორციელდება ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები სავალდებულოდ არ ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებას, თუმცა მოიცავს სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. მიზანშეწონილია, არსებობდეს ერთგვაროვანი მიდგომა ერთსაფეხურიან პროგრამებთან მიმართებით, რომელიც განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.
- კვალიფიკაციების განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და დარგის

ტენდენციებთან კავშირში

- რეგულირებადი პროგრამების მუდმივი განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა ევროდირექტივების შესაბამისად;

- გლობალური გამოწვევების კვალდაკვალ უმაღლესი განათლების ხარისხის სტანდარტებში ცვლილებების გატარება (მაგ. მიკროკრედიტების დანერგვა უმაღლეს განათლებაში, ელექტრონული/დისტანციური სწავლება, დუალური განათლება; ტრანსნაციონალური განათლება, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება; ხარისხის სტანდარტების განვითარება);

- სადოქტორო განათლებისა და ამ საფეხურზე განხორციელებული კვლევის ხარისხის ამაღლება;

- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განვითარება მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირში;

- არაფორმალური განათლების/მიკროკრედიტების აღიარების მექანიზმების შექმნა უმაღლეს განათლებაში;

- უმაღლესი განათლების სისტემისა და კვალიფიკაციების მუდმივი განვითარება ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების კალდაკვალ.

5. მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა აერთიანებს ფორმალური (სკოლამდელი განათლება, საბაზო განათლება, სრული ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება და უმაღლესი განათლება) და არაფორმალური (ინფორმალური) განათლების სისტემას. ის გულისხმობს როგორც ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლების შესაძლებლობათა ფართო სპექტრს, ისე მრავალფეროვან გარემოს ამ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დასაუფლებლად. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა ევროპაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2001 წლიდან, როდესაც ევროკომისიამ შეიმუშავა ამ მიმართულების განვითარების კონცეფცია და სისტემის განვითარების ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტად ზრდასრულთა განათლება განსაზღვრა. ეროვნულ კონტექსტში

კი თემის განვითარება დაიწყო 2005 წლიდან, როდესაც საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს და დადგა არაერთი გამოწვევის წინაშე. მათ შორის იყო: ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავება, საზოგადოების ინფორმირების დონის ამაღლება და სხვ.

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებულმა ასოცირების ხელშეკრულებამ კიდევ ერთხელ წამოწია წინ აღნიშნული საკითხი და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან შესასრულებელ ვალდებულებად განსაზღვრა[52]. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს უნდა გაეთვალისწინებინა 2006 წლის 18 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ძირითად უნარებზე (2006/962/EEC). აღნიშნულის საპასუხოდ, 2014 წელს სამინისტროს მიერ შემუშავდა განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სამინისტროს პრიორიტეტს წარმოადგენდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის განვითარება, აღნიშნულის წინაპირობად კი მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული განათლების ყველა საფეხურზე საკვანძო კომპეტენციების განვითარების ეფექტური მექანიზმების დანერგვა. კონცეფცია ასევე ითვალისწინებდა არაფორმალური განათლების წახალისებას. ამ თვალსაზრისით პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების ამოქმედება, ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა და კონცეფციის რეალიზებაში საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა. დასახული მიზნების შესაბამისად, 2013 წლიდან დაწყებულმა პროფესიული განათლების რეფორმამ გაითვალისწინა სამინისტროს სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანები და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების (ჩარჩო-დოკუმენტების) აუცილებელ ნაწილად აქცია ზოგადი მოდულების ბლოკი. აღნიშნული მოდულები ეხმიანება ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაციას მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ძირითად უნარებსა და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული.

2022 წელს სამინისტროს მიერ შემუშავდა 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც, ასევე, მიზნად ისახავს სისტემის ჰოლისტური და მდგრადი განვითარების მხარდაჭერას, საყოველთაო და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის შესაძლებლობების უზრუნველყოფას. დოკუმენტში, სიტუაციური ანალიზის ჩატარების შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, განსაზღვრულია სამი ძირითადი სექტორულ-პრიორიტეტული მიმართულება:

[52] "ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის", დანართი XXXII.

1. საზოგადოებისა და სახელმწიფოს საჭიროებებზე ორიენტირებული ხარისხიანი და მდგრადი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა;
2. თანასწორი, ინკლუზიური და მრავალფეროვანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა;
3. განათლებისა და მეცნიერების სისტემის მართვისა და ანგარიშვალდებულების სისტემის უზრუნველყოფა.

სტრატეგია, ასევე, მოიცავს ევროკავშირის, გაეროს, მსოფლიო ბანკის, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ განათლებისა და მეცნიერების სექტორში გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევად შემუშავებულ რეკომენდაციებსაც.

დოკუმენტის თანახმად, გატარებული რეფორმების მიუხედავად, გამოწვევად რჩება: განათლების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; პროფესიული განათლების სექტორში საჯარო-კერძო პარტნიორობის ფრაგმენტულობა; 21-ე საუკუნისა და ციფრული კომპეტენციების ეკოსისტემის განვითარება და ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა; მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობა; ასევე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფლობისა და გამოყენების საკითხი; ასევე გამოწვევაა საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით მობილობა, ასევე ვირტუალურ და დისტანციურ ინტერნაციონალიზაციაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა; განათლების ყველა საფეხურზე გამოწვევაა ინკლუზიურ განათლების სპეციალისტთა კვალიფიკაცია და მისაწვდომობა.

დოკუმენტში განსაზღვრული სხვა გამოწვევები ამ დროისთვის უკვე აღმოფხვრილია, კერძოდ:

- საგანმანათლებლო ჩიხი - წარმოადგენდა მნიშვნელოვან გამოწვევას მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კონტექსტში. აღნიშნული პრობლემა აღმოიფხვრა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის განახლებული რედაქციით (დეტალურად იხ. თავი 4. 1. პროფესიული განათლების საკანონმდებლო ჩარჩო);
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განახლება და მისი რეფერენსირება/თვითსერტიფიცირება - აღნიშნული საკითხი ნაწილობრივ გადაჭრილია. 2019 წელს მინისტრის ბრძანების შესაბამისად დამტკიცდა[62] განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რომელიც დაეფუძნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (EQF-LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნებს. საგულისხმოა, რომ 2024 წელს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნულმა ცენტრმა მოიპოვა ERASMUS+-ის პროგრამის დაფინანსება საპროექტო განაცხადზე - „საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესების საშუალებით (GEOREF)“. პროექტი თანადაფინანსებულია ცენტრის მიერ. პროექტის მიზანია ევროპულ მეტა ჩარჩოებთან საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ჰარმონიზაციის მიზნით რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების ანგარიშების შემუშავება, პროექტის წარმატებული განხორციელება, ასევე, უზრუნველყოფს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. პროექტის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების და თვითსერტიფიცირების მიზნით, 2026 წლის გაზაფხულისათვის, მომზადდება თვითშეფასების დოკუმენტი ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების აქტიური ჩართულობით და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა GEOREF პროექტის გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებზე

- სტრატეგიულ დოკუმენტში, ასევე, ხაზი გაესვა პროფესიული განათლების კრედიტების უმაღლეს განათლებაში აღიარების პროცედურების შემუშავებისა და ამოქმედების აუცილებლობას. დოკუმენტის მიხედვით, დასახული ამოცანის განხორციელებისათვის საჭირო იქნება უმაღლესი განათლების საფეხურზე მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ეფექტიანი სისტემის შექმნა, რაც განათლების მიღების მრავალფეროვანი საშუალებების არსებობასა და მიღებული განათლების აღიარების მოქნილი მექანიზმების შექმნას გულისხმობს (იხ. ქვეთავები „ფორმალური განათლების აღიარება“, „არაფორმალური განათლების აღიარება“).

5.1 ფორმალური განათლების აღიარება

მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ინსტრუმენტს ფორმალური განათლების აღიარება წარმოადგენს. ამ მიმართულებით საქართველოს განათლების სისტემაში არსებობს შემდეგი შესაძლებლობები:

ზოგადი განათლება - მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დარეგულირებულია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი, აღნიშნული სერვისის განხორციელების

უფლებამოსილება კი დელეგირებულია ცენტრზე[53]. წესი განსაზღვრავს აღიარების პროცედურასა და პროცესში წარმოსადგენ დოკუმენტებს. უწყვეტი განათლების მიღების კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ წესი პირს აძლევს შესაძლებლობას, დაესწროს შესაბამისი კლასის გაკვეთილს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით, სანამ მისი განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილება იქნება მიღებული. ამისთვის აუცილებელია, რომ პირმა საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარადგინოს ცნობა, რომელშიც ასახულია, რომ მისი განათლების აღიარების შესახებ შესაბამისი წარმოება მიმდინარეობს ცენტრში. წესი ითვალისწინებს ალტერნატიულ მექანიზმსაც იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ მიღებული განათლების აღიარება ვერ დადასტურდება, პირი უფლებამოსილია, ექსტერნატის გზით დაძლიოს შესაბამისი კლასის მასალა და შემდეგ გააგრძელოს სწავლა ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში. აღნიშნული ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანებით[54] რეგულირდება, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალებას აძლევს, მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე გასაუბრების ან გამოცდის გზით დაადგინოს მისი ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მიღწევის დონესთან თავსებადობა.

პროფესიული განათლების კონტექსტში, „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება არეგულირებს უცხოეთში მიღებული პროფესიული განათლების აღიარების საკითხებს. საგულისხმოა, რომ პროფესიული განათლების საფეხურზე ფორმალური განათლების აღიარების მიმართულებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2020 წელს, როდესაც მიღებული იქნა მინისტრის შესაბამისი ბრძანება[55]. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის შესაძლებელია როგორც პროფესიული, ისე ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურების ფარგლებში შეძენილი ფორმალური განათლების აღიარება. წესის თანახმად, ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია თუ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი

[53] „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანება.

[54] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ აქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივნისის №11 4/ნ ბრძანება. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1390516?publication=4

[55] ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანება.

განსხვავება, რომელიც ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას, ამასთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით, სწავლის შედეგები ერთმანეთთან თავსებადია;
ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

ფორმალურ განათლებას აღიარებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ვალდებულია, ნორმატიულ აქტზე დაყრდნობით, შეიმუშავოს შიდა ინსტიტუციური რეგულაცია და პროფესიულ სტუდენტებს ჩარიცხვისთანავე მიაწოდოს ინფორმაცია ამ შესაძლებლობის შესახებ. კანონქვემდებარე აქტმა, სისტემურ დონეზე, განსაზღვრა ყველა ის მნიშნველოვანი პროცედურული და შინაარსობრივი დეტალი, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული ფორმალური განათლების აღიარების პროცესში, რითაც მნიშვნელოვნად მოაწესრიგა სფერო. კერძოდ, წესის საფუძველზე დადგინდა: აღიარების პროცესის ეტაპები, ადმინისტრირების ვადა (საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს განაცხადის მიღებიდან 1 თვეს), წარმოების ფორმა (კოლეგიური ორგანოს მიერ განაცხადის განხილვა, გადაწყვეტილების მიღება), კომისიის რეგლამენტის მნიშვნელოვანი საკითხები და პროცესის ადმინისტრირების საანგარიშო დოკუმენტების შინაარსი (განმცხადებლის წერილობითი განცხადება, გადაწყვეტილება, ფორმალური განათლების აღიარების შედეგების შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი). ფორმალური განათლების აღიარების შედეგები აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

უმაღლესი განათლების კონტექსტში ფორმალური განათლების აღიარების საკითხები მოწესრიგებულია კანონით.[56] აქ განსაზღვრულია როგორც უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საკითხები, ისე ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისთვის აღიარების თემები. პირველ შემთხვევაში აღიარების პროცედურების განხორციელებას უზრუნველყოფს ცენტრი, მეორე შემთხვევაში კი კვალიფიკაციებთან დაკავშირებული შესაბამისი საკითხის განხორციელების უფლებამოსილება დელეგირებულია თავად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისთვის აღიარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით იქნა მიღწეული.

[56] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 50[1].

კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების (ჩარჩოს მე-5 დონე) აღიარებას ბაკალავრიატის (ჩარჩოს მე-6 დონე) ან ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების (ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონე) მიზნებისთვის, რითაც გარკვეულწილად შემოიფარგლება უმაღლესი განათლების საფეხურზე პროფესიული განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება, რაც ქმნის ერთგვარ გამოწვევას მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის კონტექსტში.

5.2 არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვა უმაღლეს განათლებაში

რაც შეეხება არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვას უმაღლეს განათლებაში: საგულისხმოა, რომ მწვანე ეკონომიკაზე გადასვლამ COVID-19-ის პანდემიის გამო სამუშაო პროცესის ციფრულ ფორმატში გადანაცვლება გამოიწვია და მიდგომების ადაპტირება გახდა ცვლილებების საფუძველი ცხოვრების, სწავლისა და მუშაობის ყველა სფეროში. აღნიშნულმა პროცესმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა საჭიროება, რომ ადამიანები აღიჭურვონ მიმდინარე და სამომავლო ცვლილებებთან გამკლავებისთვის საჭირო უნარებით.

დღეისათვის ევროპის დასაქმების ბაზრის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დასაქმებულთა კომპეტენციების შეუსაბამობაა ევროკავშირის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან. სულ უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც დასაქმებულები მოუმზადებელი ხვდებიან სამუშაოს ორგანიზებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს მაშინ, როდესაც, ციფრულ და მწვანე ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლით, სულ უფრო მეტი მოთხოვნა ჩნდება განვითარებული კომპეტენციების, გადამზადებულ და ადაპტაციის უნარის მქონე სამუშაო ძალაზე.

აღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ, ევროსაბჭოს 2022 წლის 25 მაისის N 2023/0100 (NLE) რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს სთავაზობს მითითებებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს დასაქმების პოლიტიკისთვის, რომლის თანახმადაც, აუცილებელია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება და გადამზადება, რათა დასაქმებულები პასუხობდნენ მათი დასაქმების პოზიციისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს ან შესაძლებლობა ჰქონდეთ, გადაემზადონ და დასაქმდნენ სხვა განვითარებად სექტორებში.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, განათლების სისტემებისადმი გაჩნდა მოთხოვნა, რომ გახდნენ უფრო მოქნილნი და შეიმუშაონ სტრატეგიები სწავლის პროცესის ინკლუზიურობისთვის, მათ შორის, სწავლის სხვადასხვა ფორმატის მხარდაჭერისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიმართულებით. კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ახალი, ინოვაციური გზების მიწოდებით. ევროპის ქვეყნებში მიკროკრედიტების დანერგვის მიმართულებით არსებული გამოცდილება მიუთითებს, რომ მიკროკრედიტებისაგან არაერთი სარგებლის მიღებაა შესაძლებელი, კერძოდ:

- ფორმალურ, მათ შორის, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა - მიკროკრედიტებს შეუძლია, უმაღლესი განათლება უფრო ხელმისაწვდომად აქციოს სხვადასხვა გამოცდილების მქონე პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის. მათ შორის მათთვის, ვინც სრული დატვირთვით მუშაობს და ვისაც აქვს სხვა ვალდებულებები;
- ფინანსური ხელმისაწვდომობა - მიკროკრედიტები, როგორც წესი, უფრო შეღავათიანი საფასურის მქონე პროგრამებია, ვიდრე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები;
- მოქნილობა - მიკროკრედიტების მიღება/მოპოვება შესაძლებელია შედარებით უფრო მოკლე პერიოდში და შეესაბამება პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს;
- შესაბამისობა - მიკროკრედიტები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ მაქსიმალურად შეესაბამებოდეს დამსაქმებლის, შრომის ბაზრის საჭიროებებს;
- კომბინირების ფუნქცია - მიკროკრედიტები შესაძლებელია, გაერთიანდეს უფრო ფართო კვალიფიკაციის (მაგალითად: პროფესიული ან/და უმაღლესი) მიზნებისთვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების სისტემის დანერგვის თაობაზე მუშაობა 2020 წლიდან დაიწყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით,. ამ პერიოდიდან ცენტრი ჩართული იყო ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის (BICG) ხარისხის განვითარების თემატური საექსპერტო ჯგუფის (TPG C on QA) პროექტში - “MICROBOL - credentials linked to the Bologna Key Commitments”. პროექტი განხორციელდა ევროპის კომისიის ფინანსური მხარდაჭერით და მიზნად ისახავდა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ძირითადი ვალდებულებების ჭრილში უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების სისტემის დანერგვის ხელშეწყობას. 2021 წელს ცენტრის მიერ განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოკითხვის საფუძველზე, მომზადდა ეროვნულ დონეზე მიკროკრედიტების არსებული გამოცდილების ანალიზის დოკუმენტი.

ეროვნული კვალიფიკაციების თემატურის სამუშაო ჯგუფის (TPG A on QF) დღის წესრიგში 2020 წლიდან აქტიურად დგას მიკროკრედიტების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. საგულისხმოა, რომ საქართველო 2021 წლიდან არის აღნიშნული სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე ქვეყანა. 2022 წლიდან ცენტრი ასევე ჩართულია მიკროკრედიტების (Micro-credentials) ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, რომელიც უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) პარტნიორობით განხორციელებული პროექტის - „დანერგვა და ინოვაცია ხარისხის უზრუნველყოფაში ურთიერთსწავლების გზით“ (IMINQA)“ - ფარგლებში დაინიცირდა.

2023 წელს ცენტრის მიერ შემუშავდა თემატური ანალიზის დოკუმენტი - „საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვისთვის“. რომლის ფარგლებშიც განიხილეს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვის, განხორციელებისა და აღიარების მიმართულებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკები და სახელმძღვანელო (ჩარჩო) დოკუმენტები, ასევე, ეროვნულ დონეზე, უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების სისტემის დანერგვის მიმართულებით არსებულ გამოცდილება, მიკროკრედიტების დანერგვის, განხორციელებისა და აღიარებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნებისთვის.

თემატური ანალიზის საფუძველზე, 2024 წელს შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების ოპტიმალური სისტემის დანერგვის თაობაზე, ასევე, მიკროკრედიტების დანერგვის, განხორციელების, აღიარების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სამართლებრივი მოწესრიგების მიმართულებით და განსახილველად წარედგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

2024 წლიდან ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად მონაწილეობს პროექტში „მიკროკრედიტები საქართველოსა და სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემებისთვის: სამხრეთ კავკასიის შუქურა (Micro-GEAR)", რომელიც ხორციელდება ევროკავშირის პროგრამა ERASMUS+-ის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტში მონაწილეობს 5 ქვეყნის 16 ინსტიტუცია. პროექტი მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს და ერთიანი, სტრუქტურირებული სახით წარმოადგინოს რეგიონში დამკვიდრებული პრაქტიკა, პოლიტიკა და მარეგულირებელი კანონმდებლობა, ასევე, შეისწავლოს მიკროკრედიტების შემუშავებისა და განხორციელების საუკეთესო ევროპული პრაქტიკა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით საქართველოსა და სომხეთის

ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოების განვითარებას უმაღლესი განათლების საფეხურზე მიკროკრედიტების დანერგვისთვის.

5.3 არაფორმალური განათლების აღიარება

არაფორმალური განათლების აღიარება წარმოადგენს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის მეორე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. მისი მიზანია დაინტერესებული პირებისთვის ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება, რაც უზრუნველყოფს პიროვნული განვითარების, სწავლის გაგრძელების, კვალიფიკაციის მინიჭების, დასაქმების/კარიერული ზრდის/თვითდასაქმების ხელშეწყობას.

საქართველოს განათლების სისტემაში არაფორმალური განათლების აღიარება შესაძლებელია ზოგადი განათლებისა და პროფესიული განათლების ფარგლებში. უმაღლესი განათლების სივრცეში ასეთი შესაძლებლობა ამ დრომდე არ არის შექმნილი. თავად ცნება არაფორმალური განათლება საქართველოში ფართო მნიშვნელობით გამოიყენება და ის მოიცავს როგორც არაფორმალურ (non formal), ისე ინფორმალურ (informal) განათლებასაც.

ზოგადი განათლების ფარგლებში არაფორმალური განათლების აღიარება ხორციელდება ექსტერნატის გზით. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია მინისტრის შესაბამისი ბრძანებით[57]. რეგულაციის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ძირითადად დამოუკიდებლად დაძლევის შემთხვევაში, პირს უფლება აქვს, ექსტერნატის ფორმით ჩააბაროს ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების, ასევე, ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები იმ შემთხვევაში, თუ მისი ასაკი შეესაბამება ან აღემატება ექსტერნატის ფორმით დასაძლევი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს და ამასთან, დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის საგანმანათლებლო პროგრამა.

[57] „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N18/ნ ბრძანება. [66] „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის N188/ნ ბრძანება

ამასთან, ასაკობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით, ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი უფლებამოსილია, განსაზღვროს გამონაკლისი შემთხვევები.

ზოგადი განათლების ექსტერნის ფორმით სერტიფირებას/გამოცდას ატარებს ის საგანმანათლებლო სკოლა, რომლის მოსწავლესაც წარმოადგენს ექსტერნი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი ითხოვს მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევას. ამ შემთხვევაში, გამოცდა ტარდება ცენტრალიზებულად, სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ, ელექტრონული ფორმით.

პროფესიულ განათლებაში არაფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობა განსაზღვრულია საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“ (აღიარება შესაძლებელია პროფესიული განათლების სამივე დონის (მესამე, მეოთხე, მეხუთე) ფარგლებში, ხოლო თავად აღიარების შესაძლებლობები და პირობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით - "არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების შესახებ"[58] ასევე მინისტრის შესაბამისი ბრძანებით[66]. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ბრძანებით განსაზღვრული ეტაპები და პროცესები სრულად მოერგო ევროკავშირის მიერ პროცესისთვის დადგენილ ჩარჩოს. კერძოდ, არაფორმალური განათლების აღიარების ეტაპები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:



პროცესის წარმართვისთვის მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვა, ასევე, არაფორმალური განათლების ამღიარებელი კომისია ფორმირებული უნდა იყოს დაინტერესებული პირების

[58] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბერის დადგენილება №459 - "არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესი და პირობები" https://shorturl.at/ixT4J

ჩართულობით, მათ შორის, აუცილებლად უნდა მოიცავდეს დამსაქმებლების ან/და დამსაქმებელთა/დარგობრივი გაერთიანების წარმომადგენელს[59].

კომისია უფლებამოსილია, არაფორმალური განათლება აღიაროს სრულად ან ნაწილობრივ. სრული აღიარების შემთხვევაში გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი, ხოლო ნაწილობრივი აღიარების შემთხვევაში - სერტიფიკატი (თუ დადასტურდა მოდულით/მოდულებით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი) ან ცნობა (თუ დადასტურდა მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების ნაწილი).

არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებამ/იურიდიულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით[60] განსაზღვრული პირობები.

არსებული მდგომარეობით, არაფორმალური განათლების აღიარების უფლება სულ მოპოვებული აქვს 4 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას,[61] რაც, საერთო ჯამში, საშუალებას იძლევა, აღიარებული იქნას 17 პროფესიული კვალიფიკაცია შემდეგ სწავლის სფეროებში:

- 041 ბიზნესი და ადმინისტრირება;
- 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე;
- 101 პერსონალური მომსახურებები;
- 011 განათლება;
- 061 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები;
- 091 ჯანდაცვა;
- 073 არქიტექტურა და მშენებლობა
- 103 უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები;

მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, ცალკეული კომპეტენციების დადასტურება შესაძლებელია, ასევე, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ფარგლებშიც.

[59] „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის N188/ნ ბრძანება

[60] „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N459 დადგენილება

[61] წყარო: https://eqe.ge/ka/page/static/873/araformaluri-ganatlebis-aghiareba

არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით სისტემურ დონეზე ხორციელდება ბევრი აქტივობა. მათ შორის, ცენტრის მიერ შემუშავდა "არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის წესი“[62]; შეიქმნა სერტიფიცირებული კონსულტანტების კორპუსი; დაინტერესებული ინსტიტუციებისთვის, მაძიებლებისა და კონსულტანტებისთვის შემუშავდა პროცესის წარმართვის ეტაპებისა და თავისებურებების შესახებ მეთოდური სახელმძღვანელოები და გზამკვლევები[63]; პროცესის დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა უნიფიცირებული ფორმები, ხოლო ადმინისტრირებისთვის მომზადდა ელექტრონული პორტალი.

2025 წლის მარტის თვის მონაცემებით, არაფრომალური განათლების აღიარების უფლება მოპოვებული აქვს 14 დაწესებულებას: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALY ACADEMY; შპს თეგეტა აკადემია; შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია; შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია; სსიპ კოლეჯი "ბლექსი"; სსიპ - კოლეჯი „სპექტრი"; სსიპ - კოლეჯი ,,იბერია"; შპს - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი";ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტი; ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი; სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი; სსიპ კოლეჯი "მერმისი", შპს საერთაშორისო ტრენინგ ცენტრი გენეზისი; სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“.

არაფორმალური განათლების აღიარების სერვისი ხელმისაწვდომია სწავლის 11 ფართო სფეროში: ბიზნესი და ადმინისტრირება, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, პერსონალური მომსახურებები, ინჟინერია და საინჟინრო საქმე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები, განათლება, ჯანდაცვა, არქიტექტურა და მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და გადამუშავება, ხელოვნება.

2024 წელს არაფორმალური განათლების აღიარების შვიდმა სერტიფიცირებულმა კონსულტანტმა წარმართა სულ 41 აღიარების პროცესი, რომელთა ფარგლებშიც 20 - მა მაძიებელმა მოიპოვა ნაწილობრივი აღიარება, ხოლო 20 - მა -- სრული აღიარება და ერთმა მაძიებელმა მიიღო უარი აღიარებაზე.

არაფორმალური განათლების აღიარების მიმართულებით რჩება შემდეგი გამოწვევები:

[62] "არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის წესი". სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის №837/ი ბრძანება https://shorturl.at/PAJNR

[63] წყარო: https://eqe.ge/ka/page/static/873/araformaluri-ganatlebis-aghiareba

https://eqe.ge/ka/page/static/873/araformaluri-ganatlebis-aghiareba;

https://vet.ge/ge/services/non-formal-education

https://edu.aris.ge/news/rogor-xdeba-saqartveloshi-araformaluri-ganatlebis-agiareba-detaluri-instruqcia.html

- არაფორმალური განათლების აღიარების ბენეფიტებისა და ზოგადად, ამ შესაძლებლობის არსებობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების დაბალი დონე. ინტერნეტ სივრცესა და მედია საშუალებებში თითქმის არ ვრცელდება ინფორმაცია არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ, ინფორმაციის ნაკლებობაა იმ პროვაიდერების ვებ-გვერდებზეც, რომელთაც მოპოვებული აქვთ აღიარების უფლება. განთავსებული ინფორმაცია ფაქტობრივად იდენტურია დამტკიცებული რეგულაციებისა და არ არის განმარტებული პოპულარულ ენაზე, რაც დაინტერესებული, არაპროფესიონალი პირებისთვის ართულებს ინფორმაციის გაგებას, ასევე არ არის განმარტებული შესაძლებლობები, რაც არაფორმალური განათლების აღიარებას სდევს თან და ა.შ.
- დასაქმების მიზნებისთვის პირებს არ სჭირდებათ ფორმალური კვალიფიკაციის ფლობა. რიგ შემთხვევებში პროფესიაში შესვლა, განვითარება ან კარიერული წინსვლა არ მოითხოვს შესაბამისი ფორმალური განათლების ფლობას.
- არაფორმალური განათლების აღიარება დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებთან. მაძიებელს თავად უწევს პროცესის დაფინანსება, რაც შეიძლება, ასევე, განხილული იქნას არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვის ხელისშემშლელ მიზეზად. მნიშვნელოვანია, ამ მხრივ, გაიზარდოს დაფინანსების შესაძლებლობები (შესაძლოა, განხილული იქნას პროცესის სახელმწიფო დაფინანსების სქემაში მოქცევაც);
- არაფორმალური განათლების აღიარება ებმის ჩარჩო დოკუმენტს/პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, რაც ართულებს პროცესს. მნიშვნელოვანია, არაფორმალური განათლების აღიარება დაეფუძნოს პროფესიულ სტანდარტს.

საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ასევე ადგენს „რეგულირებადი პროფესიის ფარგლებში არაფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობას“, თუმცა შესაბამისი წესი მთავრობის მიერ ჯერ არ არის დამტკიცებული. სიტუაციას ართულებს ის გარემოებაც, რომ პროფესიული განათლების კანონში რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალი არ არის განსაზღვრული. ასევე, ქვეყანაში არ არსებობს პროფესიული განათლების სფეროში რეგულირებადი პროფესიების ერთიანი ჩამონათვალი (ნუსხა). აღნიშნული საკითხების განსაზღვრა დელეგირებულია შესაბამის დარგობრივ სამინისტროებზე და საკანონმდებლო ნორმებზე.

5.4 მოკლევადიანი მომზადების/მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები

პროფესიული განათლების ფარგლებში 2019 წლიდან ხორციელდება მოკლევადიანი პროგრამები, რომლებიც მთელ ცხოვრების განმავლობაში სწავლის შესანიშნავი საშუალებაა. აღნიშნულ პროგრამები დაინტერესებულ პირებს ეხმარება, მოკლე დროში დაეუფლონ ახალ პროფესიას ან აიმაღლონ კვალიფიკაცია არსებული პროფესიის ფარგლებში და გავიდნენ შრომის ბაზარზე. პროგრამების მინიმალური და მაქსიმალური ხანგრძლივობა სისტემურ დონეზე არ არის განსაზღვრული, თუმცა გავრცელებული პრაქტიკით მათი საშუალო ხანგრძლივობა მერყეობს ერთიდან ექვს თვემდე. მოკლევადიან პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა, მინიმუმ, საბაზო განათლების ფლობა, მინიმალური ასაკი განისაზღვრება პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხოლო მაქსიმალური ასაკი შეზღუდული არ არის.

5.5 იდენტიფიცირებული გამოწვევები

მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის კონტექსტში იდენტიფიცირებულია შემდეგი გამოწვევები:

- აკადემიური განათლების საფეხურზე არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების არარსებობა;
- აკადემიური განათლების საფეხურზე ფორმალური განათლების აღიარების შეზღუდვა (არ აღიარებენ უმაღლესი პროფესიული განათლების სწავლის შედეგებს, თუმცა დაშვებულია ასოცირებული ხარისხის სწავლის შედეგების აღიარება, მაშინ როცა ორივე მეხუთე დონის სწავლის შედეგებზე გადის. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები იმავე საფეხურის სხვა აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის.);
- შესაბამისი ბაზის (რეესტრის) არარსებობისა, სადაც გამოჩნდება, რომელი კვალიფიკაციების ფარგლებში არის შესაძლებელი არაფორმალური განათლების აღიარება;
- მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის კომპეტენციების სრულფასოვანი ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამებსა და „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ძირითად უნარებზე“ ევროპარლამენტისა და საბჭოს განახლებულ რეკომენდაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

6. ინტერნაციონალიზაცია

6.1 ბოლონიის პროცესი

ბოლონიის პროცესს საფუძველი ჩაეყარა 1999 წელს და გულისხმობდა ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური, სამეცნიერო-ტექნოლოგიური განზომილებების გაერთიანების მიზნით უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ევროპის წევრი ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების ჰარმონიზაციას.

საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წელს ნორვეგიის ქალაქ ბერგენში გამართულ სამიტზე შეუერთდა. ბოლონიის სივრცეში გაერთიანებამ უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში უმაღლეს განათლებაში სამსაფეხურიან (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) სისტემაზე გადასვლა და ასევე, საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ დონეზე კვალიფიკაციების სისტემის განვითარების მიზნით ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავებას.

2018 წელს, პარიზის კომუნიკეს მოთხოვნების შესაბამისად, ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფმა (BFUG) ბოლონიის ძირითადი ვალდებულებების ეროვნულ დონეზე დანერგვის მიზნით ჩამოაყალიბა ბოლონიის დანერგვის საკოორდინაციო ჯგუფი (BICG), რომლის ძირითადი ვალდებულება იყო ბოლონიის პროცესის ძირითადი ვალდებულებების (Key Commitments) განხორციელების ხელშეწყობა ბოლონიის წევრ ქვეყნებში. ამ მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, ბოლონიის წევრი ქვეყნების ჩართულობით სამუშაო შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზება. ბოლონიის პროცესის სამუშაო სტრუქტურის ფარგლებში შექმნა სამი თემატური სამუშაო ჯგუფი (TPG A, TPG B, TPG C), რომელთა შემადგენლობაში შედიან უმაღლესი განათლების პოლიტიკაზე პასუხიმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები და ეროვნულ დონეზე წარმოდგენილი უმაღლესი განათლების ექსპერტები. სამივე სამუშაო ჯგუფში საქართველოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი წარმოადგენს.

საქართველო 2018-2019 წლებში აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნულ თემატური სამუშაო ჯგუფების მუშაობაში. კვალიფიკაციების ჩარჩოს თემატური სამუშაო ჯგუფი (TPG A) მოიცავდა ისეთ ძირითად ვალდებულებებს, როგორებიცაა: უმაღლესი განათლების სივრცის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EHEA QF) დანერგვა ეროვნულ დონეზე, EHEA QF ჩარჩოსთან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითსერტიფიცირების ღონისძიებების განხორციელება; კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის

(ECTS) მომხმარებლის სახელმძღვანელოს სრული დანერგვა; მოკლე ციკლის კვალიფიკაციების დანერგვა უმაღლეს განათლებაში; კვალიფიკაციის ჩარჩოს გამოყენება დაინტერესებული მხარეების მიერ; ბოლონიის სამსაფეხურიანი სტრუქტურის მიღმა არსებული სასწავლო პროგრამები; ურთიერთკავშირი კვალიფიკაციის ჩარჩოებსა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის და ეროვნული კვალიფიკაციების დიგიტალიზაცია.

ბოლონიის სამუშაო ჯგუფებში საქართველოს აქტიურმა მონაწილეობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს კვალიფიკაციების სისტემის შემდგომ განვითარებასა და ცნობადობის ამაღლების მიმართულებით. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგია ის, რომ საქართველო მეორე ვადით (პირველი ვადა - 2021-2025 და მეორე ვადა - 2024-2027) წარმოადგენს კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების თემატური საექსპერტო ჯგუფის (TPG A) თანათავმჯდომარე ქვეყანას საფრანგეთთან და ლატვიასთან ერთად. აღნიშნული პოზიცია საქართველოს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს ბოლონიის პროცესის ძირითადი ვალდებულებების ჭრილში კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს განვითარების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. 2021-2025 წლებში საქართველო ასოცირებული პარტნიორის სტატუსით მონაწილეობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ პროექტში: QUATRA-TPG A – "კვალიფიკაციების ჩარჩო ნდობის, გამჭვირვალობისა და მრავალფეროვნებისთვის - TPG A". პროექტი ხორციელდება Erasmus + პროგრამის ფარგლებში და მხარს უჭერს 1999 წლის ბოლონიის დეკლარაციისა და კომუნიკეების შესაბამისად, ბოლონიის ძირითადი ვალდებულების (უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (QF-EHEA) კვალიფიკაციების ჩარჩოსთან თავსებადი სამციკლიანი სისტემა და პირველი და მეორე ციკლის კვალიფიკაციები გაზომილი ECTS) განხორციელებას. პროექტი მხარს უწყობს EHEA წევრი ქვეყნების შორის გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების შესაძლებლობებს. ამ მიზნით, კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებულ თემებზე PLA ღონისძიებების, სამუშაო ჯგუფების ორგანიზებას და ასევე, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. TPG A სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, 2021-2025 წლებში საქართველოს თანაორგანიზება გაუწია კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების თემატური საექსპერტო ჯგუფის (TPG A on QF) 12 სამუშაო შეხვედრას. ამასთან, საქართველომ უხელმძღვანელა თემატურ სამუშაო ჯგუფს, რომელმაც გადახედა ბოლონიის პროცესის თვითსერტიფიცირების მექანიზმს. საქართველოს თანაავტორობით შემუშავდა რეკომენდაციების დოკუმენტი თვითსერტიფიცირების მექანიზმის გაუმჯობესების საკითხზე (დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: (https://ehea.info/Immagini/QUATRA_-_TPG_A_recommendations_self-certification_20.12_.2023_.pdf).

როგორც TPG A on QF თანათავმჯდომარე ქვეყანამ, 2023 წელს საქართველომ თვითსერტიფიცირების თემაზე უმასპინძლა კოლეგებს შორის გამოცდილების

გაზიარების კონფერენციას, რომლსაც 23 ქვეყნის უმაღლესი განათლების ექსპერტი და ევროკავშირის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები დაესწრნენ.

2023 წელს საქართველო გახდა ევროპის კომისიის კვალიფიკაციების ჩარჩოს მრჩეველთა საბჭოს (EQF Advisory Group) წევრი. ამ დროიდან მოყოლებული საქართველო აქტიურ მონაწილეობას იღებს ჯგუფის მუშაობაში. ჯგუფის ფარგლებში 2024 წელს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან ჰარმონიზაციის მიზნით დაიწყო ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი: „საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება (GEOREF)“. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ჰარმონიზებასა და შესაბამისობის დადგენას მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (EQF-LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (QF-EHEA), რაც გულისხმობს ევროპულ მეტა-ჩარჩოებთან (EQF-LLL, QF-EHEA) საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესს. ამ მიზნით პროექტის ფარგლებში შექმნილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირებისა და რეფერენსირების პროცესის განხორციელების სამუშაო ჯგუფი, რომელიც რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების ანგარიშზე მუშაობს. ანგარიშზე მუშაობის დასრულება დაგეგმილია 2026 წელს. პროექტი უზრუნველყოფს საქართველოს განათლების სისტემის ცნობადობის ამაღლებას და ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე საქართველოში მინიჭებული კვალიფიკაციების თავსებადობის დადგენას.

ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სიახლეა პროფესიული განათლების მიმართულებით ერაზმუს + ევროკავშირის პროგრამა, რომლის განხორციელების დაიწყო 2021 წელს და სამი მიმართულებით მოიაზრებს პროცესის განვითარებას. ესაა: ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული მასწავლებლებისა და სტუდენტების გამოცდილების გაზიარება; ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით პროფესიული სტუდენტებისა და პედაგოგების სტაჟირება ევროპის ქვეყნებში და ევროპელ პარტნიორებთან ერთად რეგიონული პროფესიული განათლების ცენტრების დაფუძნება და კონკრეტული დარგების გაძლიერება.

ცენტრი პარტნიორის სახით ჩართულია ერაზმუსის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების „კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)“ Erasmus+ პროექტში. პროექტის კოორდინატორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს 10 და ევროპული 4 უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტის მიზნები, რომლებიც უკავშირდება უახლესი მაღალი დონის კვლევებისა და აკადემიური მიღწევების გათვალისწინებით სისტემური გაუმჯობესების ხელშეწყობას უმაღლესი განათლებისა და აკადემიური კვლევის ხარისხის გასავითარებლად; პროექტის კონკრეტულ ამოცანებში შედის კვლევის ეთიკის, კვლევის სანდოობისა და კვლევის კეთილსინდისიერების მექანიზმების დანერგვა, ასევე, მკვლევრების საქმიანობაში, მაღალი დონის სასწავლო პროგრამებსა და სადოქტორო პროგრამების სააკრედიტაციო სტანდარტებში კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვის კონცეფციის გაძლიერება, რაც მიზნად ისახავს აკადემიური ნაშრომებში პლაგიატის პრევენციას და ავთენტური კვლევითი პრაქტიკის ხელშეწყობას ქართულ უნივერსიტეტებში.

სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განვითარდა ცენტრის მიერ შემუშავებული სადოქტორო განათლების ჩარჩო --დოკუმენტი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები მოიცავს: (ა) პოლიტიკის შეცვლასა და დოქტორანტურის აკრედიტაციის ექსპერტთა შესაძლებლობების განვითარებას, (ბ) შექმნას კვლევის მთლიანობის მოდული/MOOC, (გ) მკვლევართა ტრენინგის განხორციელებასა და კვლევის მხარდაჭერის [INTEGRITY] ოფიცრების მომზადებას, (ე) ასევე, კვლევის ეთიკის საბჭოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

ცენტრი ამ შემთხვევაში ჩართულია პროექტის განხორციელებაში, როგორც გარე ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებაზე პასუხისმგებელი სააგენტო და ვთანამშრომლობთ, რომ კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები იყოს გამოკვეთილად ინტეგრირებული ჩვენ გარე ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებში. ცენტრი, ასევე, პასუხისმგებელია ექსპერტთა კორპუსის მომზადებაზე სადოქტორო პროგრამების შეფასების კომპეტენციებით კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შეფასების საკითხების თავისებურების გათვალისწინებით.

6.2 წევრობა და პარტნიორობა საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იზიარებს და ნერგავს საერთაშორისო გამოცდილებებს.

ცენტრი არის საერთაშორისო და ევროპის მასშტაბით ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე წამყვანი ორგანიზაციების წევრი. ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი

ცენტრისთვის არის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) წევრობა, რომლის სტატუსიც ცენტრმა 2019 წელს მოიპოვა ხუთი წლის ვადით. შეფასების შედეგად უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) საბჭომ დაასკვნა, რომ ცენტრი შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015) და აკმაყოფილებს ENQA-ს წევრობის კრიტერიუმებს. ამასთან, 2019 წელს ცენტრი დარეგისტრირდა უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR). რეგისტრაციის შემდგომ ცენტრის მიერ განხორციელებული შეფასებების ანგარიშების გამოქვეყნება დაიწყო EQAR-ის მიერ წარმოებულ შესაბამის მონაცემთა ბაზაში (DEQAR), რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ევროპის მასშტაბით საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლებას.

2023 წელს ცენტრმა ENQA-ს სტატუსის განახლების მიზნით წარადგინა თვითშეფასების ანგარიში, რომელშიც აისახა 2019 წლის შემდგომი პერიოდის განვითარების მაჩვენებლები და შედეგები. ანგარიშისა და განაცხადის საფუძველზე, 2023 წლის ოქტომბრის თვეში განხორციელდა ENQA-ს გარე შეფასება, ექსპერტების ადგილზე ვიზიტით. ENQA ს წევრობის სტატუსი განახლდა 2024 წელს. ცენტრს ENQA-ს სტატუსის განახლების მოლოდინი აქვს 2025 წელს.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით ცენტრი გახდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელის (CEENQA) წევრი, რომელიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში განათლების ხარისხის განვითარების 22 სააგენტოს აერთიანებს. ქსელის მიზანია, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, მის წევრ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, გამოცდილების გაზიარების გზით. ცენტრისთვის ქსელში გაწევრიანება წამოადგენს წევრ სააგენტოებთან თანამშრომლობის, მათთან ერთად ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობას. ასევე, ცენტრს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ პროექტებში და გაიზიაროს ქსელის წევრი სააგენტოების გამოცდილება.

2018 წელს ცენტრი შეუერთდა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციას (WFME) 10 წლის ვადით. წევრობის მოპოვებისთვის ცენტრმა გაიარა WFME-ის საერთაშორისო ექსპერტების შეფასება, რომლებმაც დაადასტურეს, რომ საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლები და პროცედურები შეესაბამება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ერთობლივ მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ცენტრის მიერ სამედიცინო

განათლების მსოფლიო ფედერაციისგან აღიარების მოპოვება პირდაპირ უკავშირდება საქართველოში არსებული მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულების მიერ მიღებული განათლების აღიარებას შეერთებულ შტატებში და მის ფარგლებს გარეთ, რაც საშუალებას მისცემს მათ, დასაქმდნენ და სწავლა გააგრძელონ ნებისმიერ ქვეყანაში. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ფედერაციისგან მოპოვებული აკრედიტაციის განხორციელების უფლება ნიშნავს იმას, რომ ცენტრის მიერ როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მოქმედი უნივერსიტეტებისთვის მინიჭებული აკრედიტაცია მთელ მსოფლიოში იქნება აღიარებული.

ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში თანამშრომლობის ფარგლებში, საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან, მათ შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში AQAS, HAKA, NAQA, FIBAA, IAAR, AIC, ANQA, ANACEC, ASHE, EPDAD და QAA-სთან. მემორანდუმების ფარგლები განიხილავს თანამშრომლობის რამდენიმე ძირითად მიმართულებას, რომლებიც მიზნად ისახავს ცენტრისა და პარტნიორი სააგენტოს ვალდებულებას, ერთმანეთს გაუზიარონ სათანადო ინფორმაცია შესაბამისი ქვეყნის გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების, პროცედურებისა და კარგი პრაქტიკების შესახებ. თანამშრომლობის ფარგლებში ასევე დაგეგმილია პერსონალის მობილობა, ერთობლივი ღონისძიებები და კონფერენციები. შესაძლებელია არსებული ექსპერტთა ბაზებიდან გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის და კომპეტენციის ექსპერტების შეთავაზება/მობილობა და სხვა.

ეს ინიციატივები საშუალებას მისცემს ორივე სააგენტოს პროფესიონალებს, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც, საბოლოოდ, გააძლიერებს ორივეს -- ინსტიტუციურ შესაძლებლობებსა და გამოცდილებას.

ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება- TWINNING განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და საერთაშორისო გამოცდილებების დანერგვის მიზნით ცენტრში მნიშვნელოვანი კონტრიბუცია განახორციელა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა საჯარო სამსახურების დაძმობილების 24-თვიანმა პროექტმა -„ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“ (TWINNING). მხარდამჭერი პროექტის განხორციელება 2019 წლის ივლისში დაიწყო და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან (EKKA) (ამჟამად HAKA) თანამშრომლობის გზით წარიმართა. პროექტის მთავარი მიზანი იყო ცენტრისა და მისი პარტნიორების მხარდაჭერა განათლების

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმისა და ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს აღსრულებისა და მონიტორინგის საკითხებში ცენტრის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების, ეფექტიანი ინსტრუმენტებისა და პროცედურების, თანამონაწილეობითი მართვის, დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მეშვეობით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შემუშავდა ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს დანერგვის სამოქმედო გეგმა, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის კონცეფცია და ტექნიკური მახასიათებლები, მომზადებული კონცეფციის საფუძველზე შეიქმნა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით მრჩეველთა საბჭო. შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, საბჭოს წევრებს ჩაუტარდათ სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ექსპერტები.

კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების სისტემური მიდგომის დანერგვის მიზნით, პროექტის ფარგლებში მომზადდა თემატური ანალიზის მეთოდოლოგია, რომლის გათვალისწინებით საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ცენტრის შესაბამისმა სამსახურებმა ჩაატარეს თემატური ანალიზები ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულებებით შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოში პროფესიული განათლების სწავლის სფეროების შინაარსობრივი ცვლილებები და ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მათი შესაბამისობა;
- საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში აღიარების საკითხთან დაკავშირებული არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები;
- სამედიცინო განათლების, მათ შორის, კლინიკური სწავლების, ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ თემატური ანალიზი;
- სამ წელიწადში ერთხელ ცენტრში წარმოსადგენი შუალედური თვითშეფასების ანგარიშების თემატური ანალიზი;
- კლასტერული აკრედიტაციის პირველი ტალღა: გამოცდილებები, მიღწევები და გამოწვევები;
- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვისთვის.

7. ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან რეფერენსირებისათვის გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან და პროცედურებთან შესაბამისობა

როგორც დოკუმენტის დასაწყისში იქნა აღნიშნული, საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო განახლდა 2019 წელს და ამ პროცესში გათვალისწინებული იქნა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (EQF-LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნები. თუმცა იმისათვის, რომ დადგინდეს შესაბამისობა საქართველოს ჩარჩოსა და აღნიშნულ მეტა ჩარჩოებს შორის, საქართველომ უნდა გაიაროს ორი მნიშვნელოვანი პროცესი: ეს არის რეფერენსირება (ეროვნული ჩარჩოს შესაბამისობის დადგენა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან) და თვითსერტიფიცირება (ეროვნული ჩარჩოს შესაბამისობის დადგენა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან). ამასთან, რეფერენსირება მოიცავს მთლიანი ჩარჩოს შესაბამისობის დადგენას ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (შესაბამისობა დგინდება რვავე დონისთვის), ხოლო თვითსერტიფიცირება ადგენს მხოლოდ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების შესაბამისობას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციებთან (შესაბამისობა დგინდება ჩარჩოს მე-6– მე-8 დონეებისთვის).

2017 წელს ევროსბჭომ მიიღო რეკომენდაცია ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოებში კვალიფიკაციების შესახებ ინფორმაციის სათანადოდ ასახვის შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციის მესამე დანართი განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს ქვეყანამ, რათა დადგინდეს მისი ეროვნული ჩარჩოს შესაბამისობა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. დანართში მოცემული კრიტერიუმები ორი სახისაა: შინაარსობრივი და პროცედურული. შინაარსობრივი თემები ეხება და არეგულირებს ჩარჩოს მართვასთან, მის სტრუქტურასთან, კვალიფიკაციების ფორმირებასთან, კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფასთან, არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო პროცედურული საკითხები შეეხება რეფერენსირების ანგარიშის მომზადების ეტაპებს და განსაზღვრავს ამ პროცესში ჩართულ პირებს/ინსტიტუციებს.

ქვემოთ წარმოგიდგენთ აღნიშნულ 10 კრიტერიუმსა და ეროვნული ჩარჩოს შეფასებას ამ კრიტერიუმების მოთხოვნებთან მიმართებაში. შეფასებასთან დაკავშირებული დასკვნები გაკეთებულია წინამდებარე ანალიზის საფუძველზე.

კრიტერიუმი N1: ეროვნულ დონეზე რეფერენსირების პროცესში ჩართული ეროვნული უწყებების ფუნქციები ან/და კომპეტენციები მკაფიოდ განსაზღვრულია და გასაჯაროებულია კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და მის საფუძველზე მომზადებული მინისტრის ბრძანება[64] ჩარჩოს მართვაზე, განვითარებასა და მონიტორინგზე უფლებამოსილ ორგანოდ განსაზღვრავს ცენტრს. ამავე ბრძანებით უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (QF-EHEA) ან/და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (EQF-LLL) თავსებადობის დადგენის მიზნით, თვითშეფასების დოკუმენტის შემუშავებაზე უფლებამოსილ ორგანოდაც ცენტრია განსაზღვრული. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საფუძველზე კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის ფუნქცია ცენტრზეა დელეგირებული და რეგულირდება ცენტრის დირექტორის ინდ. აქტით. ინფორმაცია ცენტრის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე - www.eqe.ge. შექმნილია და ფუნქციონირებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მრჩეველთა საბჭო.

კრიტერიუმი N2: არსებობს მკაფიო და თვალსაჩინო კავშირი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს ან სისტემის დონეებსა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეების აღმწერებს შორის - კრიტერიუმი მეტწილად დაკმაყოფილებულია

კანონის[65] თანახმად, ჩარჩო შედგება 8 დონისგან, რომელთაგან პირველი ყველაზე დაბალია, ხოლო მერვე - ყველაზე მაღალი. მინისტრის ბრძანების[66] თანახმად, განსაზღვრულია თითოეული დონის შესაბამისი აღმწერი (განზოგადებული სწავლის შედეგების სახით) და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

წარმოდგენილი აღმწერები შეესაბამება ევროსაბჭოს 2017 წლის რეკომენდაციით განსაზღვრულ I და II დანართში მოცემულ აღმწერებსა და დონეებს. მინისტრის ამავე ბრძანებით დადგენილია ტიპური კვალიფიკაციების განლაგება ჩარჩოს დონეებზე. ამასთან, მინისტრის ბრძანებით[67] დადგენილია, რომ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამა აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგებით და უნდა შეესაბამებოდეს ჩარჩოს

[64] „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N103/ნ ბრძანება https://www.eqe.ge/res/matsne-4999693-2.pdf

[65] საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064?publication=30

[66] „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4480034?publication=23

[67] „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N103/ნ ბრძანება https://www.eqe.ge/res/matsne-4999693-2.pdf

ერთ-ერთ დონესა და საგანმანათლებლო სტანდარტს (არსებობის შემთხვევაში). საგულისხმოა, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის (სრული ზოგადი განათლება) სწავლის შედეგები – ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. საგულისხმოა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის დონეებზე განთავსებულია ზოგადი განათლების მხოლოდ ის კვალიფიკაციები, რომელთა დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტებიც გაიცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ზოგადი განათლების კვალიფიკაციების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეებთან შესაბამისობა უზრუნველყოფილია ეროვნული სასწავლო გეგმით. ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისთვის სასწავლო მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს (უნარ-ჩვევებს, ცოდნასა და ღირებულებებს), სწავლების შინაარსს, საგნების საათობრივ განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებს, სასწავლო პროცესის კონცეპტუალურ პრინციპებსა და ადმინისტრაციულ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით შესაძლებელია, შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) მოსწავლეთა სწავლებისას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების დასკვნის საფუძველზე ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ნაწილებით, მათ შორის, ალტერნატიული სასწავლო გეგმით ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმით, მათ შორის, სენსორული სასწავლო გეგმით ან/და დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმით.

სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციფიკური კომპეტენციების გაძლიერების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გაფართოებულ სასწავლო გეგმასაც.

ამასთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგია დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის ბრძანებით[68]. თუმცა,

[68] "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის N971850 ბრძანება

აღნიშნული დოკუმენტი არ ფარავს ჩარჩოს პირველ დონეს, ასევე, მიბმულია მხოლოდ პროფესიულ განათლებაზე, მაშინ, როდესაც მეორე და მეოთხე დონეზე ზოგადი განათლებაც არის განთავსებული. 2022 წელს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელოს“[69] ფარგლებში დამტკიცდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების ან/და შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის გადახედვა იგეგმება 2025 წელს „GEOREF” პროექტის ფარგლებში.

სწავლის სფეროების კლასიფიკატორი კი ეფუძნება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებს („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013). კლასიფიკატორის სწავლის სფეროები და კოდები შეესაბამება ISCED-ით განსაზღვრულ სწავლის სფეროებსა და კოდებს.

ეროვნული კვალიფიკაციების შესაბამისობა განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის დონეებთან (ISCED 2011)

ISCED 2011 დონე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	განათლების ქვესისტემებში არსებული კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები	პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დასრულების შედეგად გასაცემი კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები
ISCED 0: ადრეული განათლება			
ISCED 1: დაწყებითი განათლება	დონე 1	ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი	
ISCED 2: საბაზო განათლება	დონე 2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი	პროფესიული მომზადების მეორე დონის სერტიფიკატი

[69] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელო (2022 წელი) https://shorturl.at/aRcjH

		ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი	პროფესიული გადამზადების მეორე დონის სერტიფიკატი
ISCED 3: საშუალო განათლება	დონე 3	საბაზო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი	პროფესიული მომზადების მესამე დონის სერტიფიკატი პროფესიული გადამზადების მესამე დონის სერტიფიკატი
ISCED 4: სკოლის შემდგომი არაакადემიური განათლება	დონე 4	სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი	პროფესიული მომზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი პროფესიული გადამზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი
ISCED 5: მოკლე ციკლის/ სკოლის შემდგომი განათლება	დონე 5	ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი უმაღლესი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი	პროფესიული მომზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი პროფესიული გადამზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი
ISCED 6: ბაკალავრის ან ექვივალენტური ხარისხი	დონე 6	ბაკალავრის დამადასტურებელი დიპლომი მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი სპეციალური	

		მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი	
ISCED 7:მაგისტრის ან ექვივალენტური ხარისხი	დონე 7	მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი დიპლომირებული მედიკოსის დამადასტურებელი დიპლომი დიპლომირებული სტომატოლოგის დამადასტურებელი დიპლომი განათლების მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი ვეტერინარიის მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი ვეტერინარის მომზადების სერტიფიკატი	
ISCED 8: დოქტორის ან ექვივალენტური ხარისხი	დონე 8	დოქტორის დამადასტურებელი დიპლომი	

კრიტერიუმი N3: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ან სისტემა და მისი კვალიფიკაციები ეფუძნება სწავლის შედეგების პრინციპსა და მიზანს და უკავშირდება არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობებს და კრედიტების სისტემას - კრიტერიუმი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

ჩარჩოს თითოეული დონე აღწერილია განზოგადებული სწავლის შედეგებით. მინისტრის ბრძანებით[70] დადგენილია, რომ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამა აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედგებით. ზოგად განათლებაში კვალიფიკაციების ფორმირება ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რომლებიც მოცემულია საგნობრივი სტანდარტების სახით, პროფესიულ განათლებაში კვალიფიკაცია ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, რომელიც აღწერილია სწავლის შედეგებით, აკადემიური განათლების საფეხურზე პროგრამები

[70] „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N103/ნ ბრძანება

ეფუძნება სწავლის შედეგებს, რომელიც განსაზღვრულია უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით (არსებობის შემთხვევაში) ან/და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერებისა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებით შემუშავებულია უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ყველა რეგულირებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან კონსულტაციების შედეგად კლასტერული აკრედიტაციის მიზნებისთვის დგინდება იმ სფეროების ჩამონათვალი რომელშიც შემუშავდება/განახლდება უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

საქართველოში დანერგილია კრედიტების სისტემა. უმაღლეს განათლებაში დანერგილია და მოქმედებს კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემა (ESTC კრედიტი), ხოლო პროფესიული განათლების საფეხურზე 2020 წლიდან დამტკიცდა პროფესიული განათლებისა და ტრენინგების კრედიტების სისტემა (ECVET კრედიტი).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისადმი მოთხოვნებს, რომლის თანახმად, პროგრამების შედგენა უნდა ეფუძნებოდეს ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას და განსაზღვრული უნდა იყოს სწავლის შედეგები ჩარჩოს აღმწერებთან კავშირში.

საქართველოში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა. უმაღლეს განათლებაში 2005 წლიდან დანერგილია და მოქმედებს კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემა, ხოლო პროფესიული განათლების საფეხურზე 2020 წლიდან დამტკიცდა პროფესიული განათლების სფეროში ECVET კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგია.

არაფორმალური განათლების აღიარების სისტემა დანერგილია ზოგადი და პროფესიულ განათლების საფეხურებზე. დასამტკიცებელია პროფესიულ განათლებაში რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალი და აღნიშნულ პროფესიებში არაფორმალური განათლების აღიარების წესი.

მოცემულ ეტაპზე, უმაღლესი განათლების საფეხურზე დანერგილი არ არის არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები, თუმცა მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების (Microcredentials)

დანერგვის მიმართულებით, რომელიც გულისხმობს ფორმალიზებულ/სტრუქტურირებულ გარემოში მიღებული არაფორმალური განათლების (მიკროკრედიტების) ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას უმაღლეს განათლებაში. 2024 წლის დეკემბერში უმაღლეს განათლებაში არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნის მიზნით, საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრის მიერ გადაეგზავნა რეკომენდაციების პაკეტი.

კრიტერიუმი N4: პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს კვალიფიკაციების ასახვას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში ან აღწერს კვალიფიკაციების ადგილს ეროვნული კვალიფიკაციების სისტემაში, გამჭვირვალეა. კრიტერიუმი მეტწილად დაკმაყოფილებულია

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციების ჩართვა რეგულირდება კანონით „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ", ასევე, შესაბამისი ავტორიზაციისა (ინსტიტუციური აკრედიტაცია) და პროგრამული აკრედიტაციის (მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის) სტანდარტებით.

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების რეფერენსირება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეებთან რეგულირდება მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით[71].

კვალიფიკაციების გამჭვირვალობისა და შესადარისობის უზრუნველსაყოფად 2024 წლის სექტემბრიდან მიმდინარეობს კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შემუშავება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

კრიტერიუმი N5: განათლების ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა(ები) უკავშირდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოებს ან სისტემებს და შესაბამისობაშია ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებთან, როგორც აღწერილია რეკომენდაციის მე-4 დანართში.

[71] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №103/ნ; სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანება; ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ 2016 წლის 18 მაისი.

საქართველოს კანონმდებლობით[72] დადგენილია ყველა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულების (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები. შიდა მექანიზმებს ახორციელებენ თავად საგანმანათლებლო დაწესებულებები. ხარისხის გარე შეფასება ხორციელდება დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (პროგრამულ აკრედიტაციას ექვემდებარება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები) ფარგლებში, ასევე, მონიტორინგების (გეგმური/არაგეგმური) ფარგლებსა და დაწესებულების მიერ ცენტრში პერიოდულად წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშების შესწავლის ფარგლებში.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის განხორციელებასა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანო სისტემაში არის - ცენტრი.

გასათვალისწინებელია, რომ ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან დაკავშირებით არ არის შემუშავებული საერთო ევროპული რეკომენდაციები. ამიტომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ზოგადი განათლების ხარისხის ეროვნული ინდიკატორების დადგენაზე პასუხისმგებელ ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განახლდა 2020 წელს და გაითვალისწინა ევროპის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები (EQAVET).

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დანერგილია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ცენტრის ფუნქციები და გარე ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები სრულად თავსებადია ESG სტანდარტებთან და სახელმძღვანელოს პრინციპებთან. ცენტრი ENQA-ს წევრი გახდა 2019 წელს. იმავე წელს ცენტრი EQAR-ში დარეგისტრირდა. ცენტრის განმეორებითი შეფასება ENQA-ს და EQAR-ის წევრობის სტატუსის განახლების მიზნით, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით განხორციელდა თბილისში 2023 წლის ოქტომბრის თვეში. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით (დოკუმენტი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, როგორც ENQA-ს, ასევე ცენტრის ვებგვერდზე)[73], განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის

[72] საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“.
[73] External review of NCEQE (2023) https://www.enqa.eu/review-database/external-review-of-nceqe/

უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015) სრულად შესაბამისად შეფასდა 11 სტანდარტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრს 5 სტანდარტის შესრულებასთან დაკავშირებით დაუდგინდა საუკეთესო პრაქტიკა; ნაწილობრივ შესაბამისად შეფასდა 1 სტანდარტში, ხოლო შეუსაბამოდ შეფასდა 1 სტანდარტში (ESG 3.3). ENQA-ს გადაწყვეტილებით, ცენტრს შეუნარჩუნდა წევრის უფლებები და მოვალეობები 2 წლის ვადით „Member under Review" სტატუსით. აღნიშნულ პერიოდში ENQA-ს მიერ გადამოწმდება ცენტრისთვის განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულება.

2024 წლის 27 ნოებრის გადაწყვეტილებით ცენტრს შეუწყდა EQAR-ში რეგისტრაცია[74]. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც კვალიფიკაციების მიმნიჭებელ სტრუქტურებში, შექმნილია ESG-ის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის კომპლექსური სისტემები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებენ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის და დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. პროგრამების შემუშავების პროცესში წარმატებით გამოიყენება ცენტრის მიერ შემუშავებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები. ცენტრს მოპოვებული აქვს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აღიარება. სამედიცინო კვალიფიკაციებს აქვს ცნობადობა და შეესაბამება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ერთობლივ მოთხოვნებს. შესაბამისად, უზრუნველყოფილია მედიცინის პროგრამების ხარისხის სისტემა.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში დადგენილია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები; დადგენილია პროფესიულ განათლებაში არაფორმალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

კრიტერიუმი N6: რეფერენსირების პროცესი უნდა მოიცავდეს ხარისხის უზრუნველმყოფი შესაბამისი ორგანოების თანხმობას, რომლის თანახმადაც, ანგარიში რეფერენსირების შესახებ შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ მექანიზმებს, ნორმებსა და პრაქტიკას.

[74] Rejection of the Application by National Center For Educational Quality Enhancement (NCEQE) for Renewal of Inclusion on the Register https://backend.deqar.eu/reports/EQAR/A146_NCEQE_Rejection_decision_v1.pdf

რეფერენსირების შესახებ მომზადებულ ანგარიშში წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული პროცედურები და მოქმედი პრაქტიკა შეთანხმებული იქნება ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან (დაწესებულებების წარმომადგენლებთან, ავტორიზაციის/აკრედიტაციის საბჭოს წევრები, ექსპერტები და სხვ.).

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ რეფერერენსირების პროცესის დასრულების შემდეგ განხორციელდება ცვლილებები მინისტრის შესაბამის ბრძანებებში და კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტების ფორმაში დაემატება ინფორმაცია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან შესაბამისობის შესახებ.

კრიტერიუმი N7: რეფერენსირების პროცესში უნდა მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები, ხოლო რეფერენსირების შესახებ ანგარიშები უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, 2 ქვეყნის წარმომადგენელი 2 საერთაშორისო ექსპერტის წერილობით დასკვნას/განაცხადს რეფერენსირების პროცესის თაობაზე.

რეფერენსირების ანგარიშში მითითებულნი იქნებიან პროცესში ჩართული საერთაშორისო უცხოელი ექსპერტები. კერძოდ, ანგარიშში აისახება, რა პერიოდიდან და რა ეტაპიდან იყვნენ ჩართულნი ექსპერტები ანგარიშის მომზადების პროცესში, როდის მიიღეს დოკუმენტის პირველი ვერსია და რა უკუკავშირი დააბრუნეს. ასევე, როდის მიეცათ ანგარიშის დასრულებული ვერსიის კომენტირების შესაძლებლობა.

კრიტერიუმი N8: პასუხისმგებელმა ინსტიტუციამ/ებმა უნდა დაამტკიცონ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. რეფერენსირების კომპლექსური ანგარიში უნდა ასახავდეს შეფასებას თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებაში და უნდა გამყარდეს არგუმენტებით. ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს პასუხისმგებელი ინსტიტუცია/ების მიერ, მათ შორის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს ეროვნული საკონტაქტო ორგანოს მიერ. იგივე ანგარიში შეიძლება გამოიყენონ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების პროცესისთვის, თვითსერტიფიცირების კრიტერიუმების შესაბამისად.

რეფერენსირების ანგარიში იქნება კომპლექსური და გააერთიანებს რეკომენდაციით

მოთხოვნილი თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად მომზადებულ აღწერილობით ანალიზს, ასევე მოყვანილი იქნება ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. რეფერენსირების ანგარიში შეთანხმდება ცენტრის საკოორდინაციო საბჭოსთან, მრჩეველთა საბჭოსთან და დამტკიცდება ცენტრის დირექტორის მიერ.

კრიტერიუმი N9: რეფერენსირების განხორციელებიდან ან რეფერენსირების განახლებიდან 6 თვის ვადაში წევრმა სახელმწიფოებმა და სხვა მონაწილე ქვეყნებმა უნდა გამოაქვეყნონ რეფერენსირების ანგარიში და შესაბამის ევროპულ პორტალზე განათავსონ ინფორმაცია შედარების მიზნებისათვის.

რეფერერენსირების პროცესის დასრულების შემდეგ, ანგარიში გამოქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (http://eqe.ge) და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს პორტალზე:
(https://europa.eu/europass/en/reports-referencing-national-qualifications-frameworks-eqf?fbclid=IwAR2cIeoUBVmltvnpAKBmq_RPGyM_BQbfQTlMyify7RL6XVnH9ISWnzMcyJ8)

კრიტერიუმი N10: რეფერენსირების პროცესის დასრულების შემდეგ, კვალიფიკაციებთან დაკავშირებით გაცემულ ახალ დოკუმენტებში, რომლებიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ან სისტემების შემადგენელი ნაწილია და გაცემულია კომპეტენტური ორგანოს მიერ (მაგ: სერტიფიკატები, დიპლომები, სერტიფიკატის დანართები, დიპლომის დანართები) ან/და უფლებამოსილი ორგანოების მიერ შექმნილ კვალიფიკაციის რეესტრში უნდა იყოს მკაფიო რეფერენსი ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის დონესთან.

რეფერერენსირების პროცესის დასრულების შემდეგ განხორციელდება ცვლილებები მინისტრის შესაბამის ბრძანებებში და კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტების ფორმაში დაემატება ინფორმაცია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან შესაბამისობის შესახებ. აღნიშნულის საფუძველზე, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ინსტიტუციები მათ მიერ გაცემულ შესაბამის დოკუმენტებში (დიპლომი, დიპლომის დანართი, სერტიფიკატი, სერტიფიკატის დანართი) კვალიფიკაციის დასახელებასთან ერთად მიუთითებენ ინფორმაციას ევროპული კვალიფიკაციის დონესთან შესაბამისობაზე. რაც შეეხება რეესტრს, გამომდინარე იქიდან, რომ მისი ფორმირება ამჟამად მიმდინარეა, რეესტრის სტრუქტურაში თავიდანვე იქნება გათვალისწინებული ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისი დონის აღმნიშვნელი ველი.

8. დასკვნები და რეკომენდაციები

ამდენად, წინამდებარე ანალიზმა გამოკვეთა ის ძირითადი საკითხები, რომლებზე მუშაობის დაწყებაც მნიშვნელოვანია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან რეფერენსირებისთვის. ამ მიმართულებით გაკეთებული ძირითადი მიგნებები წარმოდგენილია ცხრილის სახით, სადაც ასახულია თითოეული კრიტერიუმის დაკმაყოფილების დონე და იდენტიფიცირებულია ის პროცესები/დოკუმენტები, რომელთა შექმნის/განვითარების მიმართულებით შესაბამისი აქტივობებია დასაგეგმი.

კრიტერიუმი	მოთხოვნებთან შესაბამისობა			
	სრული	მეტწილი	ნაწილობრივი	შეუსაბამობა
N1 ეროვნულ დონეზე რეფერენსირების პროცესში ჩართული ეროვნული უწყებების ფუნქციები ან/და კომპეტენციები მკაფიოდ განსაზღვრულია და გასაჯაროებულია .	√			
N2 არსებობს მკაფიო და თვალსაჩინო კავშირი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს ან სისტემის დონეებსა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეების აღმწერებს შორის.		√		
N3 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ან სისტემა და მისი კვალიფიკაციები ეფუძნება სწავლის შედეგების პრინციპსა და მიზანს და უკავშირდება არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობებსა და კრედიტების სისტემას.			√	
N4 პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს კვალიფიკაციების ასახვას		√		

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში ან აღწერს კვალიფიკაციების ადგილს ეროვნული კვალიფიკაციების სისტემაში, გამჭვირვალეა.				
N5 განათლების ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა(ები) უკავშირდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოებს ან სისტემებს და შესაბამისობაშია ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებთან, როგორც აღწერილია რეკომენდაციის მე-4 დანართში.	√			
N6 რეფერენსირების პროცესი უნდა მოიცავდეს ხარისხის უზრუნველმყოფი შესაბამისი ორგანოების თანხმობას, რომლის თანახმადაც, ანგარიში რეფერენსირების შესახებ შესაბამისობაშია ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ მექანიზმებთან, ნორმებსა და პრაქტიკასთან				
N7 რეფერენსირების პროცესში უნდა მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები, ხოლო რეფერენსირების შესახებ ანგარიშები უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, 2 ქვეყნის წარმომადგენელი 2 საერთაშორისო ექსპერტის წერილობით დასკვნას/განაცხადს რეფერენსირების პროცესის თაობაზე.				
N8 პასუხისმგებელმა ინსტიტუციამ/ებმა უნდა დაამტკიცონ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს				

რეფერენსირება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. რეფერენსირების კომპლექსური ანგარიში უნდა ასახავდეს შეფასებას თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებაში და გამყარებული იყოს არგუმენტებით. ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს პასუხისმგებელი ინსტიტუცია/ების მიერ, მათ შორის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს ეროვნული საკონტაქტო ორგანოს მიერ. იგივე ანგარიში შეიძლება გამოყენებული იქნას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების პროცესისთვის, თვითსერტიფიცირების კრიტერიუმების შესაბამისად.	
N9 რეფერენსირების განხორციელებიდან ან რეფერენსირების განახლებიდან 6 თვის ვადაში წევრმა სახელმწიფოებმა და სხვა მონაწილე ქვეყნებმა უნდა გამოაქვეყნონ რეფერენსირების ანგარიში და შესაბამის ევროპულ პორტალზე განათავსონ ინფორმაცია შედარების მიზნებისათვის.	
N10 რეფერენსირების პროცესის დასრულების შემდეგ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით გაცემულ ახალ დოკუმენტებში, რომლებიც ეროვნული კვალიფიკაციების	

ჩარჩოს ან სისტემების შემადგენელი ნაწილია და გაცემულია კომპეტენტური ორგანოს მიერ (მაგ: სერტიფიკატები, დიპლომები, სერტიფიკატის დანართები, დიპლომის დანართები) ან/და უფლებამოსილი ორგანოების მიერ შექმნილ კვალიფიკაციის რეესტრში უნდა იყოს მკაფიო რეფერენსი ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის დონესთან.	

წინამდებარე ანალიზში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები დამუშავებულია 2025 წლის მარტის თვის მდგომარეობით.

სქემა N10: საქართველოს განათლების სისტემა